


# ხობის მოამბე

№3 (7016) 22 თებერვალი, შაბათი,
2014 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი


## გიორგი მარგველაშვილი: „დღეს ჩვენი მიზანია ავაშენოთ ქართული სახელმწიფო საქართველოს მოქალაქეებისათვის“



„ჩემთვის პატივია ის, რომ მე გამოვდივარ თქვენს წინაშე, საზოგადოების წინაშე, მნიშვნელოვანია ის დამთხვევა, რომ ჩემი აქ გამოსვლა ხდება 21 თებერვალს, პირველი საქართველოს კონსტიტუციის დღეს,“–ეს განცხადება პრეზიდენტმა პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლის დროს გააკეთა.

გიორგი მარგველაშვილმა დეპუტატებს საქართველოს განვითარების ხედვა გააცნო:

„დღეს ჩვენი მიზანია ავაშენოთ ქართული სახელმწიფო საქართველოს მოქალაქეებისათვის. ასეთ საქართველოს მე ვხედავ, როგორც თავისუფლების, მრავალფეროვნებაში ერთიანობის, ტოლერანტობის, შესაძლებლობათა, შემოქმედების, შრომის, თანხმობის, სოლიდარობის ტრადიციებზე დაფუძნებულ ქვეყანას. მე მხოლოდ ფორმალურ ტრადიციებზე არ ვსაუბრობ, არამედ ტრადიციათა იმ სულზე, რომელიც მთელი ჩვენი ქვეყნის ისტორიას გასდევს. ამ ტრადიციებად პროგრესისკენ სწრაფვას განხლებას, ალორძინების დიდ ნიჭს მივიჩნევ.“

მარგველაშვილის თქმით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან სახელმწიფოს მთავარი ღირებულება გახდა ადამიანი, ინდივიდი. მისივე მოსაზრებით, ეს მთავარი ღირებულებაა, რომელზეც უნდა დაფუძნდეს ნებისმიერი სახელმწიფოს მშენებლობა, ხოლო ინდივიდს ყველაზე მეტად ესაჭიროება თავისუფლება:

„შეიცვალა დამოკიდებულება სიტყვის თავისუფლების და გამოხატვის თავისუფლების მიმართ, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მასმედიის გათავისუფლების თვალსაზრისით. ხელისუფლების დამოკიდებულება უმცირესობის მიმართ, ნათლად ევროპულ ყაიდაზე არის ორიენტირებული. რაც მთავარია, 2013 წელს ჩვენ ჩავატარეთ რეალურად თავისუფალი, ევროპული სტანდარტის არჩევნები.“

## საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ არჩევნები 2014 წლის 15 ივნისს ჩატარდეს

„2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები იმაზე უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე საპრეზიდენტო. ამით დავასრულებთ 2012 წლიდან დაწყებული დემოკრატიის კონსოლიდაციას ჩვენს ქვეყანაში, მინდა, პარტიამ და საზოგადოებამ დაიწყოს მზადება დროულად, ამიტომ ვიტყვი, რომ არჩევნები 15 ივნისს გაიმართება“,–განაცხადა მარგველაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას.

ინტერვიუ

## „დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა“

მამუკა ქარდავა–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

3

## იაკობის „დედაენა“ და ასო-ნიშნებით გადმოცემული საიდუმლო

6–7

## საქართველოს საპატრიარქო უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება



„კიევში ამჟამად მიმდინარე პროცესები კიდევ ერთხელ მოწმობს, რამდენად არამყარია მშვიდობა მსოფლიოში. ეს მოვლენები რომ რეალური დიდი საფრთხის შემცველია, ყველასთვის ნათელია, რადგან ,,ევრომაიდანზე“ უკვე ამდენი მსხვერპლი და დაზარალებულია.

ჩვენ გულითად თანაგრძნობას ვუცხადებთ გარდაცვლილთა ოჯახებს, მათ შორის საქართველოს მოქალაქის, ზურაბ ხურციას ოჯახს და აღვავლენთ ლოცვებს მათი უკვდავი სულისათვის. ამასთან მიგვაჩნია, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა შემხვედრი ნაბიჯები აუცილებლად უნდა გადადგან, რომ მოვლენები ყველასათვის კიდევ უფრო დრამატულად არ განვითარდეს.

უკრაინასთან საქართველოს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს; ამიტომ, ბუნებრივია, დიდად განვიცდით მომხდარს და შევთხოვთ უფალს, კეთილგონიერებამ და სამართლიანობამ გაიმარჯვოს და მშვიდობამ დაისადგუროს ამ ქვეყანაში,“–წერია განცხადებაში.

სოფლის მეურნეობა

## როდის და როგორ დავრგოთ ხეხილოვანი კულტურები

9

## სიახლეების კვალდაკვალ

8

ხანდაზმულები

## ,,ურთიერთპატივისცემა ჯანსაღ საზოგადოებას ქმნის...“

5

# ირაკლი ღარიბაშვილი ბელგიის სამეფოს ვიცე-პრემიერს შეხვდა



შეხვედრა ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში გაიმართა. მხარეებმა განიხილეს ქვეყნებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის აქტუალური საკითხები, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს ევროკავშირთან და ნატოსთან ურთიერთობებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით მიღწეულ წარმატებებზე.

მხარეებმა დადებითად შეაფასეს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და დემოკრატიული ინსტიტუტების აღმშენებლობისა და განვითარების ტენდენციები.

ბელგიის ვიცე-პრემიერმა კვლავ დაადასტურა მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი, ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესისადმი.

# ბანკებისათვის სასოფლო მიწების ყიდვაზე გამოცხადებული მორატორიუმი გაუქმდა



პარლამენტმა საქართველოს კანონის პროექტი-„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მესამე მოსმენით 75 ხმით 0-ის წინააღმდეგ დაამტკიცა.

„აღნიშნული კანონპროექტის მომზადების მიზანია კანონში იმ გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინება, რომლის დროსაც კონკრეტული საქმიანობით დაკავებულ პირებს, კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ კომერციულ ბანკებს, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოეხსნებათ 2014 წლის 31 დეკემბრამდე კანონით დადგენილი დროებითი შეზღუდვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების შეძენასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ცვლილებებით, საქართველოს მთავრობას განსაკუთრებულ შემთხვევაში ენიჭება დისკრეცია ამ მორატორიუმის განმავლობაში მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები იმ დაინტერესებულ სუბიექტთა სასარგებლოდ, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილი კანონპროექტით, თუმცა გააჩნიათ სათანადო არგუმენტაცია.

კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი ამბობს, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი ეკონომიკას გააჯანსაღებს:

“ცვლილებებმა ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, დასაქმებას, ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემოტანას, განათლების შემოტანას, ახალი კულტურების ათვისებას და, ჯამში, ეკონომიკის გაჯანსაღებას.“

# გიორგი მარგველაშვილი: ხალხის მიმართ იარაღის გამოყენება არც ერთ ხელისუფლებას არ შერჩენია



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა. მარგველაშვილი აცხადებს, რომ იგი მიმდინარე მოვლენებით შოკირებულია:

„უკრაინაში მოვლენები ყოველ საათში ტრაგიკულად ვითარდება. ჩვენ ვართ სრულიად შოკირებული იმ კადრებით, რაც დღეს ყველამ ვიხილეთ. საკუთარი ხალხის მიმართ იარაღის გამოყენება არც ერთ ხელისუფლებას არ შეშვენის და არც ერთ ხელისუფლებას არ შერჩენია. იმედს გამოვთქვამთ, რომ თუ იქნება მკვეთრი პოლიტიკური და არა ძალადობრივი ნაბიჯები პრეზიდენტ იანუკოვიჩის მხრიდან, თუ ის გამოავლენს პოლიტიკურ ნებას, რომ შეწყდეს სისხლისღვრა, კიდევ არის შანსი, რომ უკრაინაში დიალოგის განახლება მოხდეს“,–განაცხადა პრეზიდენტმა და იმედი გამოთქვა, რომ იანუკოვიჩი გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რაც ქვეყანას მძიმე დაპირისპირებას თავიდან აარიდებს.

# საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის თქმით, უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები საპარლამენტო უმრავლესობის შეშფოთებას იწვევს



საგანელიძის თქმით, აუცილებელია, უკრაინის ხელისუფლებამ გადადგას ყველა ის ნაბიჯი, რაც ქვეყანაში არსებულ ვითარებას განმუხტავს.

„ნამდვილად შეშფოთებული ვართ იმით, რაც ამ ქვეყანაში ხდება. აუცილებელია უკრაინის ხელისუფლებამ დროული და ეფექტური ნაბიჯები გადადგას“,–აცხადებს საგანელიძე.

ამასთან, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი „ნაციონალური მოძრაობის“ იმ ინიციატივას ეხმაურება, რომლითაც პარლამენტში უმცირესობაში მყოფი დეპუტატები აცხადებენ, რომ საქართველომ უკრაინის მხარდასაჭერად გლოვის დღეები უნდა გამოაცხადოს და მაიდანზე დაჭრილები საქართველოში გადმოიყვანონ და აქ უმკურნალონ.

„არ მგონია, უკრაინას სჭირდებოდეს ჩვენი დახმარება. ეს ქვეყანა დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სიტუაცია მალე მოგვარდეს“, –განაცხადა საგანელიძემ.

# არასამთავრობოები თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო ბარიერის 50 პროცენტამდე აწევას მიესალმებიან

ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციები სისტემის გაუმჯობესების, თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნისათვის ხელისუფლებას რიგი რეკომენდაციების გათვალისწინებას ურჩევენ.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ მიაჩნიათ, რომ კვლავ პრობლემატურად რჩება საარჩევნო სისტემა საკრებულოს არჩევნებისთვის, „რაც ვერ უზრუნნველყობს ერთი ხმის თანასწორობის პრინციპსა და ამორჩევლის მიერ გამოხატული ნების პროპორციულად გარდასახვას მანდატებში“.

ისინი მიიჩნევენ, რომ „ხელისუფლებამ მეტი მზაობა უნდა გამოხატოს მასშტაბური ცვლილებებისთვის, ვინაიდან მხოლოდ ბარიერის გაზრდა სისტემის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას ვერ უზრუნველყოფს“.

„სისტემის გაუმჯობესებისა და თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნისათვის აუცილებელია ხელისუფლებამ გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები:

მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების შექმნა საკრებულოს მაჟორიტარული არჩევნებისთვის იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ერთი ხმის თანაბარი წონის პრინციპი;

მერებისა და გამგებლებისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის მთლიანად ამოღება, რადგან აღნიშნული პროცედურა წინააღმდეგობაში მოდის პირდაპირი არჩევნების პრინციპთან და მნიშვნელოვნად აკნინებს მის მნიშვნელობას;

თვითმმართველობის არჩევნებში საინიციატივო ჯგუფების მიერ დამოუკიდებელი კანდიდატების წარდგენის შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკურ პლურალიზმს და რომლის არარსებობის შემთხვევაში აღნიშნული კოდექსი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვა საერთაშორისო სტანდარტებთან და ეუთო-ს წინაშე საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებთან”, - ნათქვამია არასამთავრობოების ერთობლივ განცხადებაში.



მათივე განცხადებით, ცვლილებების პაკეტი უახლოეს დღეებში უნდა გაეგზავნოს ვენეციის კომისიას, „რათა რაც შეიძლება სწრაფად გაკეთდეს ამ უკანასკნელის მხრიდან შესაბამისი შეფასებები“.

ინტერვიუ

# „დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა“

## მამუკა ქარდავა—ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



***ბატონო მამუკა, კარგა ხანია გაზეთის მკითხველებთან შეხვედრა არ გქონიათ. საინტერესოა გასული წლის თქვენეული შეფასება, რით დაგამახსოვრათ თავი და რას გვპირდება 2014 წელი?***

–2013 წელი გამორჩეული იყო საქართველოს მოსახლეობისთვის. გასულ წელს ჩვენ ჩავატარეთ თავისუფალი საპრეზიდენტო არჩევნები და ამით კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისაკენ.

2013 წელი ძალზე მნიშვნელოვანი იყო ხობის მუნიციპალიტეტისთვისაც, მის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე სერიოზულად აისახა ინფრასტრუქტურის განვითარება-მოწესრიგების მიზნით ჩატარებული მასშტაბური სამუშაოები.

ბოლო სამი ათეული წლის შემდეგ პირველად განხორციელდა ქალაქის ცენტრის ტროტუარების, გზის სავალი ნაწილის, მიწისქვეშა კომუნიკაციების და საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობითი და წყალსადენი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ამოიწმინდა სანიაღვრე არხები და კაპიტალურად შეკეთდა ქალაქის ქუჩების ასფალტო-ბეტონის საფარი. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების თანახმად 2013 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან ხობის მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო 2.161.500 ლარი, საიდანაც ქალაქ ხობში ცოტნე დადიანის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობისთვის დაიხარჯა 299 000 ლარი, ქალაქ ხობის ცენტრში (ტროტუარები, გზის სავალი ნაწილი და მიწისქვეშა კომუნიკაციები) კეთილმოწყობისთვის 431 700 ლარი, შეძენილიქნა ორი ნაგავმზიდი 80 000 ლარად, გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურისთვის შეძენილ იქნა 213 000 ლარის ღირებულების სპეცტექნიკა.

რაც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამას, მის ფარგლებში მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში განსახორციელებელი პროექტებისთვის გამოყოფილ იყო თანხა 882 000 ლარის ოდენობით, რომლითაც 77 ინფრასტრუქტურული პროექტი იქნა დაფინანსებული.

2013 წელი განსაკუთრებული სტიქიური მოვლენებითაც გამოირჩეოდა უხვად მოსულმა ნალექმა სერიოზული ზიანი მიაყენა ინფრასტრუქტურულ ობიექტებს, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან ხობის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილ იქნა თანხა 2 300 000 ლარის ოდენობით, რაც 97 ინფრასტრუქტურული ობიექტის აღდგენითი სამუშაოებისთვის გაიხარჯა.

2014 წელს საქართველოს ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი ეკონომიკის განვითარება და ბიზნესისთვის ხელშეწყობა გახლავთ, რაც ემსახურება მეტი სამუშაო ადგილების შექმნას და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ისევ გრძელდება სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რაც შეეხება 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელ პროექტებს, მიმდინარე წელსაც 2 000 000 ლარამდე გამოიყოფა. მჯერა, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქე გრძნობს, რომ ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი სწორედ ხალხია.

***ამას წინათ უკრაინაში ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა ჯგუფს ხელმძღვანელობდით, რა იყო თქვენი სტუმრობის მიზანი და რა შედეგს ელოდებით?***

–უკრაინის ხმელნიცკის ოლქის ქალაქ სტაროკონსტანტინოვოსა და ხობის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება ადგილობრივი თვითმმართველობის, ქალაქის მართვის, ურბანული დაგეგმარება-განვითარების, გარემოსა და ბუნების დაცვის, განათლების, კულტურის, ტურიზმისა და ჯანდაცვის სფეროებში ადგილობრივ დონეზე. ამასთან ჩვენი მხრიდან შესაძლებელია ორი ქალაქის საქმიან წრეებს შორის კომერციული და საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა.

მოკლე ექსკურსს გავაკეთებ ქალაქ სტაროკონსტანტინოვოსთან დაკავშირებით: ქალაქი მდებარეობს უკრაინის ხმელნიცკის ოლქში. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ქალაქი ყველაზე წარმატებულია ხმელნიცკის ოლქის ქალაქებს შორის. ქალაქში განვითარებულია, როგორც მძიმე, ისე მსუბუქი მრეწველობა. მუშაობს არაერთი ქარხანა, კერძოდ მეტალურგიული ქარხანა „მეტალისტი“, ბეტონის შპალების ქარხანა, კვების მრეწველობის ქარხანა (სს „ხლებზავოდი“, შპს „აგროპრომსერვისი,“ შპს „სტაროკონმოლოკო“).

სტაროკონსტანტინოვო თვითმმართველი ქალაქია, მას ხელმძღვანელობს პირდაპირი არჩევნების წესით არჩეული მერი ბატონი მიკოლა მელნიჩუკი.

***მალე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დაიწყება. მთავრობის წლევანდელ პროგრამაზე რას იტყვით?***

–სოფლის მეურნეობის სამინისტრომ თებერვლიდან „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ განხორციელება დაიწყო. აღნიშნული პროექტით სახელმწიფო მოსახლეობას ყველაზე მნიშვნელოვან სამუშაოში–ხვნის პროცესში დაეხმარება.

მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტი და ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დააფინანსებს, ხოლო ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს და ის 90 მილიონამდე ლარს შეადგენს. როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ჩვენს მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების სიების დასაზუსტებლად. სიების დაზუსტების შემდეგ, 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით წელს ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 800.000-მდე მცირემიწიანი ფერმერი ისარგებლებს, ხოლო მუნიციპალიტეტის მასშტაბით 12.130 ბენეფიციარი.

ფერმერები, მიწის ფართობის მიხედვით, დაიყოფიან ორ კატეგორიად და მიიღებენ სხვადასხვა ოდენობის სარგებელს. კერძოდ: ფერმერები, რომელთაც გააჩნიათ 0,25 ჰა–მდე ფართობის მიწის ნაკვეთები და ფერმერები, რომელთაც გააჩნიათ 0,25 ჰა დან 1,25 ჰა-ის ჩათვლით ფართობის მიწის ნაკვეთები.

აღნიშნული ბენეფიციარები წელს ისარგებლებენ ორი ტიპის ბარათით: პირველი ეს იქნება ნიადაგის ხვნის სამუშაოებისათვის სასოფლო–სამეურნეო ბარათი, რომელიც 2013 წლის პროექტით გათვალისწინებულის ანალოგიური იქნება და მოსარგებლეებს გადაეცემათ სოფლის რწმუნებულების მიერ, ხოლო მეორე ტიპის ბარათით გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო საქონლის მიღება. გასული წლისგან განსხვავებით, ეს ბარათი იქნება საბანკო პლასტიკური ბარათი, ე.წ. „აგრო ბარათი.“ ბარათზე დაირიცხება პროექტის ფარგლებში მოსარგებლისათვის განკუთვნილი სარგებლის ღირებულების შესაბამისი ქულები. „აგრო ბარათის“ მიღება შესაძლებელი იქნება სს „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალში.

აგრობარათი ფერმერს ურთიერთობას გაუმარტივებს სასოფლო-სამეურნეო საქონლის მიმწოდებელთან, მას შესაძლებლობა ექნება სასურველი პროდუქტი მიიღოს ნაწილ-ნაწილ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მომწოდებლისგან. „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშოების ხელშეწყობის პროექტი“ აგვისტოში დასრულდება.

***რას გვეტყვით ადგილობრივი თვითმმართველობის ახალ კანონზე, რა ცვლილებებია მოსალოდნელი კანონის მიღების შემთხვევაში?***

–ჯერ კიდევ მოქმედი კანონმდებლობით, თბილისის გარდა, ყველა მუნიციპალიტეტის მერი და გამგებელი თანამდებობებზე საკრებულოს წევრთა თანხმობით, საკრებულოს თავმჯდომარეების მიერ ინიშნებიან.

ახალი კოდექსის მიხედვით, მერები მხოლოდ თვითმმართველ ქალაქებში აირჩევა, ხოლო დანარჩენ მუნიციპალიტეტებში აირჩევიან გამგებლები.

ამავე კოდექსით, ყველა მუნიციპალიტეტს ეყოლება არჩეული საკრებულო, რომელსაც მიენიჭა უფლება ხმათა 2/3-ით უნდობლობა გამოუცხადოს არჩეულ მერს ან გამგებელს და გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან.

საკრებულოები ისევ შერეული, პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე აირჩევიან; საკრებულოს პროპორციული სისტემისთვის ერთიანი 4%-იანი ბარიერია განსაზღვრული, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ პარტიები მუნიციპალიტეტის საზღვრებში მიიღებენ ხმების სულ ცოტა 4%, ისინი მოიპოვებენ პროპორციულ მანდატებს საკრებულოებში. მოქმედი კანონმდებლობით, ეს ბარიერი 4%-ს შეადგენს როგორც თბილისში, ასევე ყველა დანარჩენ მუნიციპალიტეტში.

კოდექსით განისაზღვრა თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა ზღვრული ნორმა, შემდეგი ფორმულის შესაბამისად თითოეულ მუნიციპალიტეტში საერთოა 30 საშტატო ერთეული, რომელსაც ყოველ 500 ამომრჩეველზე დაემატება ერთი საშტატო ერთეული და თითოეულ მაჟორიტარულ ოლქზე ასევე დაემატება თითო შტატი.

ადგილობრივი გადასახადების დეცენტრალიზაციის წესებს ახალი თვითმმართველობის კოდექსი არ მოიცავს, რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების წყაროებს, მთავრობის თქმით, 2014 წლის სექტემბრამდე შემუშავდება კანონპროექტი, რომელიც ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებს შორის გადასახადების განაწილების სქემას განსაზღვრავს. ერთ–ერთი შესაძლო შემოთავაზებაა საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული თანხების ნაწილის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში დატოვება. ამჟამად ადგილობრივ ბიუჯეტში მხოლოდ ქონების გადასახადიდან მიღებული თანხები რჩება.

***ადგილობრივი არჩევნები, რომ იტყვიან, კარს მოგვადგა, რა განწყობა გაქვთ, თუ ჯერ ადრეა ამაზე საუბარი?***

–თვითმმართველობის ახალი კოდექსი საქართველოს პარლამენტმა 5 თებერვალს მესამე მოსმენით დაამტკიცა. ეს ნიშნავს, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საქართველო თავისი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პირველად, პირდაპირი წესით აირჩევს ყველა მუნიციპალიტეტის მერსა და გამგებელს.

მჯერა, რომ ჩვენი თანამოქალაქეები სწორ არჩევანს გააკეთებენ, საღად და ობიექტურად შეაფასებენ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებას და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მხარს დაუჭერენ მათთვის სასურველ ღირსეულ კანდიდატს.

***ესაუბრა***
***მერი ლაგვილავა.***

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტს 844,6 ლარი გამოეყო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის სამმართველოს ორგანიზებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში ჩატარდა შეხვედრა, რომლის მიზანი იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს დასაგეგმი სამუშაოებისა და ამ მიზნით მოსახლეობასთან შეხვედრების საორგანიზაციო საკითხების განხილვა. აღნიშნული პროგრამის განხორციელების ფარგლებში წელს ქვეყნის მასშტაბით 50 მილიონი ლარია გამოყოფილი. აქედან, ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის 844,6 ათასი ლარი.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თვითმმართველობის განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პოლიტიკის



სამმართველოს უფროსი ოთარ კონჯარია და მთავარი სპეციალისტი ამირან ფირცხალავა, აგრეთვე - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი, გამგებლის მოადგილეები, გამგეობის სამსახურების უფროსები და მუნიციპალიტეტის სოფლებისა და თემების რწმუნებულები.

## სახელმწიფო რწმუნებული–გუბერნატორი ქვალონის მოსახლეობას შეხვდა

ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის თემში მოსახლეობას სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი ლევან შონია, გუბერნატორის პირველი მოად-



გილის მოვალეობის შემსრულებელი კობა ქანთარია, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურის უფროსი დავით შელეგია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობას შეხვდნენ. მოისმინეს მათი პრობლემები, რომელთა შორის იყო წყალმომარაგება, ელექტრო გამრიცხველიანება, გზის მოასფალტება და საბავშვო ბაღის უქონლობა.

სახელმწიფო რწმუნებულის (გუბერნატორის) ადმინისტრაციის ინიციატივით უახლოეს დროში წყალმომარაგების პრობლემა 100-მდე ოჯახისათვის მოგვარდება, გუბერნატორი მოსახლეობას შეჰპირდა არსებული პრობლემების დეტალურ შესწავლას და მათი მოგვარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

## წარმატებულთა დაჯილდოება საგანმანათლებლო რესურსცენტრში



17თებერვალს, ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრში, რესურსცენტრის უფროსმა ხათუნა გერგაიამ, მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, გამგებლის მოადგილემ ედიშერ ჯობავამ და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა რევაზ წულაიამ „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების" ქვეპროგრამით გამოვლენილ ახალგაზრდებს 8 ოქროს და 18 ვერცხლის მედალი გადასცეს. შეხვედრაზე სერტიფიკატები გადაეცათ ასევე საჯარო სკოლების დირექტორების შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპის წარმატებულ საჯარო სკოლის დირექტორებს.

## საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014




ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წარმომადგენლებმა, საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერასთან დაკავშირებით ტრენინგი ჩაატარეს, რომლის მიზანი -საყოველთაო დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური მონაცემების მიღებაა. აღწერის ორგანიზატორი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური „საქსტატია".

აღნიშნული აღწერის ფარგლებში 10-24 თებერვალს, სამეგრელოს რეგიონში და მასში შემავალ მუნიციპალიტეტებში (ხობი, ზუგდიდი, აბაშა, მარტვილი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა) და თვითმართველ ქალაქ ფოთში ჩატარდება შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მთავარი წინაპირობაა.

აღწერის ფარგლებში მუნიციპალიტეტების მთელ ტერიტორიაზე ივლიან სპეციალურად შერჩეული რეგისტრატორები, რომლებიც მოსახლეობისაგან მიიღებენ მინიმალურ ინფორმაციას მათი საცხოვრისისა და ოჯახის წევრთა რაოდენობის შესახებ.

## ელ. ქვესადგური „ხორგას" მშენებლობის განხილვა ხობში

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" წარმომად-



გენლები, სადაც 220/110 კვ. ქვესადგური „ხორგას" მშენებლობლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის ოფიციალური განხილვა მოეწყო.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" (სსე) აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით „რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის" ფარგლებში ახორციელებს 220/ 110კვ „ხორგას" ქვესადგურის მშენებლობას, რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებას.

## ხობის მონასტრის ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები იგეგმება

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ საქართველოს რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების



განხორციელებისათვის 180 მილიონ ლარზე მეტი გამოყო. მასშტაბური სამუშაოები იგეგმება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების, მათ შორის ხობის მონასტრის ტერიტორიის მეცნიერული კვლევის, სასახლის, გალავნის, ბერების საცხოვრებელი ნაგებობების აღდგენა-რესტავრაციისათვის. ტურისტების მოზიდვის მიზნით იგეგმება თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ხობის მონასტერში ჩასატარებელი სამუშაოების მასშტაბებისა და ხასიათის განსაზღვრისა და დაგეგმვის მიზნით, 17 თებერვალს, ხობის მუნიციპალიტეტს ეწვია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტთა ჯგუფი ხარისხის კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ქალბატონ ნინო კორძაიას ხელმძღვანელობით. სტუმრებს დახვდნენ ხობის მონასტრის მოძღვარი დეკანოზი ილია ლომაია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე მამუკა ქარდავა, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, გამგებლის მოადგილეები ბადრი ჯობავა და მახარე ჩოკორაია.

## ბლიც ინტერვიუ



**სახელი:** დალი
**გვარი:** გერგაია
**საქმიანობა:**
–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

**თქვენი წარსულის ლამაზი დღე?**
–ბედნიერი, უდარდელი სტუდენტური დღეები.

**რა გენატრებათ?**
–მშვიდობა ჩემს ქვეყანაში.

**განსაკუთრებული სურვილი, რომელიც ვერ აისრულეთ?**
–საკმაოდ ბევრი სურვილი დამრჩა აუსრულებელი.

**ყველაზე მეტად რა არ გინდათ?**
–სამოქალაქო დაპირისპირება, არ მინდა ჩემი ქვეყანა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარეშე.

**ცხოვრება ვის გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ?**
–ოჯახის, შვილის, მეგობრების გარეშე ძალიან რთულია ცხოვრება. უახლოესი ადამიანების გარეშე ადამიანი მარტოსულია.

**ორი სიტყვით თქვენს ოჯახზე?**
–ჩვეულებრივი ქართული ოჯახი მაქვს. ამაყი ვარ იმით, რომ შვილის კარგად აღზრდა მოვახერხე.

**რა არის თქვენი ხასიათის ძლიერი მხარე?**
–სამართლიანობა.

**თქვენი ყველაზე უცნაური თვისება?**
–უცნაური თვისება საერთოდ არ მახასიათებს.

**რისი გჯერათ?**
–კეთილშობილების.

**რასაც არასოდეს გააკეთებდით?**
–არასოდეს დავჩაგრავ ვინმეს და „ბილწს არ შევეკვრი ზავითა“.

**ადამიანში რას აფასებთ?**
– ინტელექტს.

**ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?**
–ბუნებრივი კატაკლიზმების.

**ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში ხშირად იყენებთ?**
–აკვიატებული ფრაზები არ მომწონს.

**ყველაზე საინტერესო სიტუაცია, რომელშიც აღმოჩენილხართ?**
–საინტერესო სიტუაციები უხვად მაქვს, ცალკე ვერ გამოვყოფდი.

**რა უნდა გახსოვდეთ ამ ქვეყნად ყოველთვის?**
–გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!

**როგორ მოხვდით პოლიტიკაში?**
–მე ჩვეულებრივი საჯარო მოხელე ვარ, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყანა, ყველა პატრიოტი პოლიტიკოსია, ვინაიდან მას აქვს საკუთარი მსოფლმხედველობა–როგორი უნდა იყოს მისი სამშობლო. ეს გრძნობა და ვალდებულება, შეიძლება ითქვას, ბავშვობიდან დამყვა, ალბათ ღვთის ნებით, მაგრამ 9 აპრილის მერე აქა ვდგავარ და ასე მოვდივარ...

**ვინ არიან თქვენი ოპონენტები?**
–ალბათ ყველა ის, ვისაც არ მოსწონს ჩემი იდეები ჩემი ქვეყნის განვითარებაზე და მომავალზე. მე ყოველთვის ვიქნები დემაგოგების და არაკომპეტენტური პიროვნებების ოპონენტი.

**ის, რაც ძალიან გინდათ იცოდეთ?**
–თუ როგორ შეიქმნა სამყარო, როგორ უნდა წარმოიდგინო, რომ მანამდე ქაოსი იყო? მაგრამ ისიც ვიცი, რომ ეს მხოლოდ უზენაესმა უწყის.

**რითი ილამაზებთ ცხოვრებას?**
–მშვენიერების აღქმის უნარით.

**როგორი გინდა დაგიმახსოვრონ?**
–ისეთი, როგორიც ვარ, ჩემი დამსახურების მიხედვით.

**როცა უკან მოიხედავ რას ხედავთ?**
–უკან მოხედვის ნამდვილად არ მეშინია. განვლილი ცხოვრების ეტაპებზე შეცდომებიც იყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემი ცხოვრების გარკვეული ნაწილი კეთილსინდისიერად გავიარე...

**თქვენი ნება რომ იყოს რას შეცვლიდით?**
–ასეთი რამ არსებობს, მაგრამ ვინაიდან ვერ შევცვლი, უკეთესია არც გავახმოვანო...

**რისი თქმაც სულ გინდოდათ და დღეს, ჩვენთან იტყვით...**
–ამის თქმის დრო ჯერაც არ დამდგარა...

**ესაუბრა ლელა ალანია, ჟურნალისტი.**

## ხანდაზმულები

*ქალბატონი, რომელზეც მინდა მოგითხროთ, იმ თაობას ეკუთვნის, რომლებმაც ახალგაზრდობის ყველაზე კარგი წლები, უმძიმესი განცდით და შთაბეჭდილებებით განვლეს. მათ სკოლის დამთავრებიდან ორიოდე წელიწადში მოუსწროთ მეორე მსოფლიო ომმა. ახლობლები, მეგობრები ომის გზას გაუდგნენ. ტკივილი ტკივილს ემატებოდა. ბევრი, ძალიან ბევრი ადამიანი დაკარგეს მათ. მაგრამ ცხოვრება გრძელდება. ალბათ იმ ჭირის დღეთა განცდამ გააორმაგა მათ თაობაში ურთიერთსიყვარული, გულმოდგინება და საქვეყნო საქმისადმი ერთგულება. ეს ის თაობაა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება მართებთ. რაც უფრო მეტ დროს დავუთმობთ ხანდაზმულ ადამიანებს, რაც უფრო მეტად გავიხსენებთ მათ, ეს ჩვენი ადამიანური ვალია. დღევანდელი რუბრიკის რესპოდენტი ლუსია გერგაია კი ჩემთვის ორმაგად დასაფასაბელი და საყვარელი პიროვნება გახლავთ. ის ჩემი ოჯახის ახლობელია, მეც ხომ მის თვალწინ გავიზარდე და ამიტომაც მასთან მისულს ცოტა არ იყოს ეტიკეტის დაცვა გამიჭირდა, საუბარიც როგორც ბებია და შვილიშვილს შორის ისე შედგა.*



## ,,ურთიერთპატივისცემა ჯანსაღ საზოგადოებას ქმნის...“

***მე უფლება მაქვს თქვენ ბებია დაგიძახოთ, რამეთუ თქვენ ჩემთვის მეტად ახლობელი და საყვარელი პიროვნება ბრძანდებით. ლუსია ბებია მოგვიყევით თქვენს შესახებ...***

–1926 წელს, სოფელ ნოჯიხევში იოსებ გერგაიას ოჯახში დავიბადე, რომელიც რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე იყო. სკოლაშიც იქ ვსწავლობდი. სამსახურიც პირველად ნოჯიხევის სკოლაში დავიწყე, მალევე გავთხოვდი სოფელ ხეთაში იასონ პაპავაზე. მყავს სამი შვილი–სვეტა, მადონა და მოგელი პაპავები, არაჩვეულებრივი რძალი ნანი ქანთარია, რომელიც იგივე ჩემი ქალიშვილია. მყავს ოთხი შვილიშვილი ლევანი ბუკია, გიორგი ბუკია, იასონ პაპავა, ოთარ პაპავა და შვილთაშვილი ლექსო ბუკია.

მე ორი ომის მომსწრე ვარ, სამამულო, როგორც მაშინ ეძახდნენ და სამოქალაქო. პირველი ომის დროს საზოგადოება იყო ერთიანი, ყველა ერთმანეთს ედგა მხარში. სამოქალაქო ომში კი, რომელსაც შეეწირა აფხაზეთი და ოსეთი ვერ დავინახეთ, რისი დანახვაც აუცილებელი იყო და ამით მივედით კატასტროფამდე.

ჩემი მეუღლე იასონ პაპავა სამამულო ომის მონაწილე იყო და იმით, რომ გამარჯვებისათვის თავი არ დაუზოგავს, ამაყობდა. ჩვენი თაობის ადამიანებს, რომლებიც გაჭირვებული ცხოვრებიდან მოდიოდნენ უყვარდათ ერთმანეთი, იცოდნენ ერთმანეთის გატანა, ცოდნას ყოველდღიურად იმაღლებდნენ, მომავლის დიდი იმედი ჰქონდათ.

***როგორი იყო თქვენი შრომითი ბიოგრაფია?***

–ჩემი შრომითი ბიოგრაფია ნოჯიხევის საშუალო სკოლაში მუშაობით იწყება. გათხოვების შემდეგ მუშაობა დროებით შევწყვიტე. როცა შვილები წამოიზარდნენ მუშაობა დავიწყე ხობის რაიონულ ბიბლიოთეკაში, რომელიც იმ დროისათვის ხობის კულტურული ცხოვრების ცენტრი იყო. მახსოვს ბიბლიოთეკაში მუშაობის პერიოდში ახალ შემოსულ წიგნზე რა რიგები იდგა, კითხულობდა ყველა, დიდი თუ პატარა. მახსოვს ახალი წიგნი როგორც კი მოვიდოდა (არ ვიყავით ახალი წიგნებით განებივრებულები), რიგში იდგნენ ხოლმე ხობის კორიფეებად წოდებული ადამიანები: ვახტანგ დოლბაია, ჟორჟი გერგაია, ნოდარ შონია, ნოე კუჭავა, ხუტუ ბარამია...

***როგორ ფიქრობთ, დღეს რა დამოკიდებულება აქვს მოზარდ თაობას წიგნთან?***

–კარგი შეკითხვაა. დღეს წიგნთან დამოკიდებულება სულ სხვაა, თანამედროვე ახალგაზრდობა კომპიუტერს მიეჯაჭვა, წიგნი კი განზე დარჩა, რაც არ არის კარგი. დღევანდელ მოზარდ თაობაში ძალიან მომწონს მიზანდასახულობა, სამართლიანობა და დამოუკიდებლობა, ჩემი სურვილია მეტი ყურადღება მიაქციონ წიგნს. ჩემი შვილიშვილები, როცა რაიმე აინტერესებთ ცდილობენ კომპიუტერიდან მიიღონ ინფორმაცია, მიმაჩნია წიგნთან მუშაობა უფრო რთულია, მაგრამ სრულყოფილი.

***დავუბრუნდეთ შრომით ბიოგრაფიას...***

–ოცდაერთი წელი ვიმუშავე ხობის N1 საბავშვო ბაგა-ბაღში. ბავშვების სიყვარულმა და პროფესიონალების გვერდით მუშაობამ იქ საუკეთესო წლები გამატარებინა. ბაღის გამგე იყო ცხონებული ზინა ცხომარია. საუკეთესო მასწავლებლები: ვერა რეკვავა, ლენა ნასარაია, ლამარა ბერიშვილი, ფაქიზო ჩარგაზია, ლილი ტაბაღუა, გული სხულუხია და სხვები. იყო უდიდესი პასუხისმგებლობა, მაგრამ შესაბამისი იდეალური პირობებიც იყო, როგორც აღმზრდელობითი მუშაობით, ასევე ზაფხულში დასვენებით. ბავშვები ძალიან მიყვარს, მათთან ურთიერთობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ყოველთვის ასეთი ვიყავი. მუშაობის პერიოდში მათ სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობდი. მახსენდება ზუკა ლატარია, ვალერი ქარჩავა, რომლებიც საოცრად ცელქები იყვნენ და ამავდროულად ძალიან საყვარლები. მათ მე გამორჩეულად ვუყვარდი, თუ ჩემს კალთაში სხვა ბავშვს დაინახავდნენ, ყველანაირად ცდილობდნენ ჩამოესვათ ძირს და თვითონ მოკალათებულიყვნენ.

ერთხელ, ბაგის ბავშვებმა ჩუმად საბავშვო ეტლს ყველა ჭანჭიკი მოაძვრეს, და ეს ისე ჩუმად გააკეთეს დღემდე მახსოვს და მეცინება.

ჩემი უფროსი შვილიშვილები ლევანი და გიორგი ,,ჩემს“ ბაღში იზრდებოდნენ; ხოლო უმცროსები იასონი და ოთარი N2 ბაღში გაიზარდნენ.

***თქვენი მეგობრები...***

–ჩემი მეგობრებიდან ძალიან ცოტაა ცოცხალი. ნათელში მიმყოფოს იქ წასულების სული ღმერთმა. დიდხანს მიცოცხლოს ისინი, ვინც ჯერ კიდევ შემომრჩა.

***რითი ხართ ამაყი...***

–ქართველი კაცი პირველ რიგში არის ამაყი თავისი ოჯახით, შვილებით და შვილიშვილებით. მე ვამაყობ ჩემი ოჯახით, მყავს პატარა ლექსო, შვილიშვილ გიორგის შვილი, მინდა ისინი ქართული ტრადიციების დამცველნი იყვნენ, წინაპრებს უნდა სცენ პატივი, უნდა იცოდნენ ვისი გორისანი არიან.

***და ბოლოს, რას უსურვებდით ხობს და ხობელებს...***

–ხობს და ხობელებს ვუსურვებ წარმატებებს, მინდა, რომ ჩვენი პატარა, კოპწია ხობი საცხოვრებლად მიმზიდველი იყოს, მუშაობდეს საწარმოები, იყოს საცურაო აუზი გამართული, როგორც ეს წლების წინ იყო, კულტურული ცხოვრება ჩქეფდეს ისე, როგორც ეს იყო 80-იან წლებში.

მე ახალ მთავრობას იმედის თვალით ვუყურებ, მჯერა, რომ ადამიანებს, როცა ყველაფერი სასიკეთოდ წარიმართება, უფრო ეყვარებათ ერთმანეთი. ექნებათ ურთიერთპატივისცემა და საზოგადოება იქნება ჯანსაღი...

***ესაუბრა ნინო გერგაია.***



„დ ე დ ა ე ნ ა“

რუბრიკას უძღვება მანანა შულაია.

# „ქართული ენაშია ჩვენი ქართველობა“

**ქართულ ანბანს ერთ-ერთი დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს მსოფლიოს ანბანთა ცნობილ სისტემაში. ცნობილია, რომ ანბანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რომელი ასოს რომელი მოსდევს, ე.ი. განსხვავდებიან ასოთა დალაგების მიხედვით, ასოების რიცხვითი მნიშვნელობით, ასოების მოხაზულობით და ა.შ. მრავალი ფაქტი ადასტურებს იმას, რომ უძველესი ქართველური ტომები მაღალკულტურულ დონეზე იდგნენ და რომ მათ ჰქონდათ დამწერლობა.**

**ქართული ანბანი, რომლის საშუალებითაც წერა-კითხვა ისწავლება ქართულად, აკინძა და პირველი სახელმძღვანელო შექმნა ჩვენმა სასიქადულო ერის შვილმა იაკობ გოგებაშვილმა. სწორედ მის მიერ შექმნილ ნაშრომზე გვესაუბრება რუბრიკაში „დედა-ენა“, ბატონი ვახტანგ ქანდარია. ვიტყვით იმას, რომ წერილი მთლიანად გამოხატავს ავტორის თვალსაზრისს, მის შეხედულებებს, გაიზიარებს თუ არა ამას მკითხველი, ეს თვითონ მასზეა დამოკიდებული.**

## იაკობის „დედაენა“ და ასო-ნიშნებით გადმოცემული საიდუმლო

„დედაენა“ და იაკობ გოგებაშვილი ქართველი კაცის ცნობიერებაში განუყოფელი ცნებებია. ვამბობთ გოგებაშვილს და მასთან ერთად თავად წინ „დედაენა“ გვეხატება, ვახსენებთ „დედაენას“ და ჩვენს წარმოდგენაში უმალ იაკობ გოგებაშვილის მადლიანი სახე წარმოგვიდგება- ასე განუყრელად დააკავშირა და დაადუღაბა ისტორიამ ეს ორი ცნება.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ი. გოგებაშვილი იყო რვა დასახელების სახელმძღვანელოს ავტორი. მეცნიერთა აზრით ეს სახელმძღვანელოები აგებულია მაღალ დიდაქტიკურ-მეთოდურ თვალსაზრისზე. ავტორი თავისი დროის სახელმძღვანელოების შემდგენელთა შორის გამოირჩევა ორიგინალური შეხედულებებით, დედაენის საიდუმლოებაში წვდომით, მაღალი ინტელექტითა და ჭეშმარიტი მეცნიერული ცოდნით.

შენიშნავენ „დედაენის“ აგების პრინციპებსაც (მკვლევარი ვ. რამიშვილი) :




1. გენეტიკური ანუ გრაფიკული მსგავსების.
2. ფონეტიკური ანუ ბგერითი.
3. სემანტიკური ანუ ნორმალურ სიტყვათა გაგებითობის პრინციპი.

გვსურს არსებულ მოსაზრებებს ჩვენი თვალთახედვიდან დანახულიც დავუმატოთ, რათა უფრო სრულად წარმოვაჩინოთ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, ასე ვთქვათ, ქართული ბრენდი - „დედაენა“.

გარდა ზემოთ აღნიშნული დედა ენის სახელმძღვანელოებისა, დიდი იაკობი ავტორია წიგნებისა: „საღმრთო ისტორია“, „სახარება ყმაწვილთათვის“...

პედაგოგიკა დასაბამს იღებს ბრძენთაგან, ხოლო ყოვლადბრძენი თავად ღმერთი იყო (არის და იქნება), რომელიც „მალიმალ მიმოდიოდა მათთან (ადამ და ევასთან–ავტ.) სამოთხეში, უმართავდა საუბარს და ასწავლიდა ყველაფერს, რასაც თავისი გონებით ვერა სწვდებოდნენ...“ (ი. გოგებაშვილი, „საღმრთო ისტორია“, თბ. 1992, გვ.11).

ვფიქრობთ, რომ პედაგოგიკის მამამთავრის, მოძღვართმოძღვრის, „დედაენის“ მამის ი. გოგებაშვილის შემოქმედების მასაზრდოებელი წყარო ღმერთია. მისი აზროვნება ძირფესვიანად უკავშირდება „ფასის-საცავსა მას“–წმინდა წერილს. ამის დასასაბუთებლად მოვიხმობთ ი. გოგებაშვილის სიტყვებს: „ანტიპედაგოგიური და ანტიქართული რამე სულნი არას გზის არ შეუშვათ და წმიდა პედაგოგიურ პრინციპებზე ავაშენოთ ჩვენი ერის განათლება“.

ვფიქრობთ, რომ „დედაენა“ აგებულია „წმინდა წერილისეულ“ პრინციპზე.

„დედაენაში“(ჩვენ ხელთ გვაქვს 1984 წლის გამოცემა) გაკვეთილების თანამიმდევრობა ასეთია: „ია“, „თითი“, „საათი“, „თხა“, „თოხი“,“ხე“ და ა.შ.

შევჩერდებით პირველ სამ გაკვეთილზე: პირველი გაკვეთილი არის „ია“(გაზაფხულის მახარობელი - რამეთუ პირველი ყვავილობს, კოლხეთის ყვავილი...)

ი ა
ი (ცა ფირუზ)
ა (ხმელეთ ზურმუხტო)
აი ია
ია აი

ქართული ანბანი Ⴀნ–ით იწყება, მაგრამ გოგებაშვილი აქ რატომღაც Ⴈნ-ს გვთავაზობს, რაც, ალბათ, შემთხვევითი არ არის და ვფიქრობთ, რომ ავტორი ქვეცნობიერში (დაფარულში) დებს საჭირო აზრს და გვაცნობს ორ სამყაროს: უხილავსა და ხილულს ანუ სულიერს და მატერიალურს (Ⴈ-მერ, იქა და Ⴀ -მერ, აქა).

აქ, თუ „გრაფიკულობის პრინციპს“ გამოვიყენებთ, ასეთი სურათი წარმოგვიდგება:

ႺႠ („ႺႠႨ“) Ⴈ ႨႫႤႰ, ႨႵႠ, („ Ⴄ - ႫႤႰ)
---------------------- ႫႨႼႠ ( „ႵႭႤႷႠႬႠႨ“) Ⴀ
ႠႫႤႰ, ႠႵႠ , („ Ⴀ ႫႠႰ“)

რომელიც იგივეა, რასაც წმინდა წერილში ვკითხულობთ: „თავდაპირველად ღმერთმა შეჰქმნა ცაი და ქუეყანაი“/ ბიბლია, დაბადება, თ. 1.1./.

საინტერესოა, რომ გრაფიკულად Ⴀნი Ⴈნის სარკისებრი ანარეკლია...

***ამ ორი სამყაროს*** (სულიერის და მატერიალურის) ***ურთიერთდამოკიდებულება დაფარულია ორ, ამნაირად, დაწყვილებულ მარცვალში:***

1. ია აი და 2. აი ია (სარკისებრი ანარეკლი)

რასაც გრაფიკულად ასე წარმოვადგენთ:




ანუ, ორი სამყარო (სულიერი და მატერიალური, უხილავი და ხილული) ერთმანეთთან დაკავშირებულია და ერთი მთლიანობაა (ჯვარი - + -ინ-ან → ქ-ინ-ან → „ქიანა“), როგორც ამას ამოწმებს უფლის მაკურთხეველი მარჯვენა (იხ. ხატი: „უფალი ყოვლისა მპყრობელი“).

„გრაფიკულობის პრინციპმა“ მოგვცა „რვიანი“–იგივე „ორიონი“–ბიბლიური მზის ქალაქი (ორიონი→ღ-ორიონ-თი, ქართ. ღმერთი. ან კიდევ: ორიონი→ორინ-ალი→რინ–ა, ქართ. ცხოვრება→ცხონება. „...რინა-შ ნება ქორდასუნი ქიანა მუშ მამარდარე...“).

ამგვარად ცა და მიწა, იმერი და ამერი შეႤႰႧ-და ჯვრის-ჯვარცმული ქრისტეს სიმბოლოს მეშვეობით (შეადარე: „მე ვარ გზა... მამასთან ვერავინ მოვა, თუ არა ჩემს მიერ...“, სახარება). რვა მეგრულადაა „რუო“(„რუო“→ „რო“→რო ).

აქ უნებლიედ გვახსენდება ციტატა: „ჰე, ღმႤႰႧ-ო ႤႰႧ-ო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა („ჰე“, მე-8-ე ასომთავრული ასო-ნიშანი-ავტ.)...“

საინტერესოა, რომ Ⴀნი- დან Ⴈნი- სკენ, ამიერიდან იმიერში ამაღლება (ანუ „აღდგომა“) გრაფიკულად გვაძლევს 5-იანს, იგივე ქართულ ასომთავრულ ასონიშან „S“-ჭარის იდეოგრამას–(32-S-5000; აქ 32 რიგითი ნომერია, ხოლო 5000 რიცხვითი მნიშვნელობა. 3+2=5; 5+0+0+0=5. შეადარე: „ქრისტე აღსდგა! „S“-ეშ-მარიტად!), ხოლო პირიქით, იმიერიდან ამიერში დაშვება („ცოდვით დაცემა“)?–2-იანს, იგივე გადმობრუნებულ 5-იანს და გადმობრუნებულ ჭარს. შევნიშნავთ, რომ ამ ორი ნიშნის შეერთებით მიიღება გრაფიკული რვიანი.

ლირიკულ გადახვევად ჩავთვალოთ და გავიხსენოთ ჩვენი ბავშვობა, კერძოდ სკოლის პერიოდი, როცა მშობლებმა ცოდნის (ძველი ტრადიციით ღვთაებრივი სიბრძნის) მისაღებად რომ მიგვაბარეს. დარწმუნებული ვართ, რომ ვერავინ იტყვის, რამდენი ხუთიანი თუ ორიანი მიიღო თითოეულმა ჩვენგანმა იმ ათი თუ თხუტმეტი წლის განმავლობაში. ორიანს რომ დაგვიწერდნენ ვიხუმრებდით გადმობრუნებული ხუთიანი მივიღეო, ალბათ, ეს ყველას გვახსოვს.

თურმე ამ ხუმრობაში იმალება „კვირბი“: „2-იანი“ არის გადმობრუნებული „5-იანი“.

მაშინ არც იმაზე დავფიქრებულვართ, თუ რატომ გვიწერდნენ დადებით პასუხზე მაინცდამაინც „5-იანს“, უარყოფითზე კი-„2-იანს“ და არა პირიქით.

ვფიქრობთ, საქართველოში, ბრძენთა, ქურუმთა და მოგვთა (ვარსკლავთმრიცხველთა) ქვეყანაში, ბევრია ისეთი ადამიანი, ვინც ჩვენთვის საინტერესო კითხვის პასუხი იცის, თუმც, სამწუხაროდ, ჩვენ მათ ვერ შევხვდით და სავარაუდოდ ვიტყვით: „5-იანი“ არის ჭეშმარიტების სიმბოლო, გადმობრუნებული ჭეშმარიტება კი-უმეცრებაა („2-იანია“).

ჩვენი ბრძენი წინაპრები თავიანთს მოწაფეებს მოსაწონ პასუხზე უჩვენებდნენ „5“-ს და შეაქებდნენ: მენ-ცარ (მეგრ. „მენცარი“), ქართულად იგივეა, რაც „მეცნიერი“(ყველაზე დიდი მეცნიერება უფლის შემეცნებაა…), ხოლო პატარა შეცდომაზე ამ ნიშანს („5“) გადმოაბრუნებდნენ (მიიღებდნენ „2“-ს), გალანძღავდნენ და ეტყოდნენ: „უ-მენ-ცარ“, ანუ უმეცარიო.

„კვირბი”: „მენ-ცარ-ის“ პირველ ნაწილ-„მენ-ს“ ინგლისური „men”(←ქართ. კაცი, შეადარე: ა-მენ!) ჟღერადობა აქვს, ხოლო მეორეს რუსული „ცარისა“(←ქართ.მეფე). „უმენ-ცარ-ის“ პირველი ნაწილი „უმენ“ ჟღერს როგორც ინგლისური „woman”(←ქართ. ქალი), ანუ:

„მენ-ცარი“=კაცი მეფე, ანუ სიმბოლური ადამი („5-იანი“).

„უ-მენ-ცარი“=ქალი მეფე, ანუ სიმბოლური ევა („2-იანი“).

ძველ მისტიკოსებს, მაგალითად, ფილონს, აქვს ზნეობრივი ახსნა ადამ და ევას შეცოდებისა. იგი ამბობს: „ევა - ეს გრძნობაა, ადამი - ეს გონება. გრძნობამ აცდუნა გონება...“ სხვანაირად რომ ვთქვათ, ღმერთმა მამაკაცს დაჰმადლა გონება, ქალს კი- გრძნობები...

იქნებ ზემოთქმულიდან მომდინარეობს ნიშნების წერის ანუ შეფასების ძველი ტრადიციაც:

1. „ႠႨ“–ამიერიდან იმიერში ამაღლება ანუ „აღდგომა“–არის ხუთიანი (**5**) ანუ „S“ („ჭარი“. „ჭარილი“→ქართ. წერილი)–ჭეშმარიტება.

2. „ႨႠ“– იმიერიდან ამიერში დაშვება ანუ „ცოდვით დაცემა“–კი ორიანი (2 )ანუ გადმობრუნებული ჭარი-უმეცრება.

ყველაფერ ამას პედაგოგიკასთან აქვს შეხება ???- SIC !!!

ასე რომ ბატონებო... ასოები უბრალო პირობითი ნიშნები კი არ არის, არამედ უდიდესი მნიშვნელობის და მისტიური სიღრმის მოვლენა, სამყაროს მისტიური ნახაზი. თურმე ასონიშნებს აქვთ მახსოვრობა...

გარდა ზემოაღნიშნულისა „ია(**2**) აი(**5**)“ ასევე გვაძლევს **25**-ს, რაც, შესაძლოა, 25-ე რიგით ასონიშანზე მიანიშნებდეს: „25-ი-ღან-700“. თუ რამაზ პატარიძესა და ზურაბ ქაფიანიძეს დავუჯერებთ, 25-ე ასომთავრული ასო-ნიშანი „ღანი“ არის სიმბოლო ღვთის კარისა, უხილავი ღმერთის სამყოფელი, დიდი ღმერთი.

საინტერესოა, რომ „ღ“ ბუს ჰქვია მეგრულად და ის სიბრძნის წარმართული სიმბოლოა. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ რუსული დამხმარე სახელმძღვანელოს („Первый шаг“) გარეკანი მის მხატვარს, ვ. გუბანოვს, იმავე სიმბოლოებით გაუფორმებია... ქართული ასომთავრული „ღანის“ ინიციალის ფონზე ბუ წიგნით ხელში...).

საინტერესო მსგავსებაა „**ႫႤႰ**“ და „ Мир “(რუსული) ფორმებს შორის. „Мир“ ქართულად სამყაროს ნიშნავს. ქალაქის გამგეობის ადგილსამყოფელს **ႫႤႰ**-ია ჰქვია, ქალაქის გამგებელს- **ႫႤႰ**-ი, სამყაროს გამგებელს კი-ღ-**ႫႤႰ**- თი. გრაფიკული რვიანი მეგრულად არის „**ႰႳႭ** (→**ႰႭ**)“, რომელიც ჩვენი მამულის სახელწოდებაც შეიძლება იყოს, რამეთუ გვაქვს: ლეონტი მ-**ႰႭ**-ველი (შდრ. მარიამ მ-ეგვიპტე-ლი), შოთა **ႰႭ**- სთაველი.

ვფიქრობთ აქედან მომდინარეობს მდინარე „ფაზისის“ ამჟამინდელი სახელწოდებაც-„რიონი“:

**Ⴐ**(აე) + **Ⴍ**(ნ)-ი → რაეონი→რიონი.

ნიშანდობლივია, რომ „რაე“–ს რუსული „Рай“ (ქართ. სამოთხე) ჟღერადობა აქვს, რაც უნებლიედ გვახსენებს ასეთ ქართულ ლეგენდას: როცა ღმერთი მიწებს ანაწილებდა, ქართველები დაგვიანებით მისულან მასთან. დაგვიანების მიზეზის შესახებ ქართველებს უთქვამთ: ჩვენ ღვინოს ვსვამდით და ღმერთს ვადიდებდითო. ამ პასუხს ღმერთი ძალიან გაუხარებია, შუმ -ერ-ი (←შუმ-ა ← ქართ. სუმ-ა ← სმ-ა) ყოფილხართო და მათთვის თავისი ადგილსამყოფელი დაუთმია...

***ღმერთი მარადიულია. ჩვენს მიწასაც მარადიულობის სიმბოლო (რვიანი-იგივე ორიონი) აქვს, რადგანაც ღვთის ნაჩუქარია..***

წარმოდგენილი „გრაფიკულობის პრინციპი“ არის საწყობი სიტყვებისა: ღ-მერ-თი, ი-მერ-ი, ა-მერ-ი, ი-ქა, ა-ქა, „ქიანა“(←ქართ. სამყარო).

ვფიქრობთ, ამ სქემითაა აგებული ჩვენი ეკლესია-მონასტრები (შეად. „ორიონის“ თანავ.)






აპოლონიოს როდოსელი ადასტურებს, რომ კოლხთა მთავარი უზენაესი და უსაშინლესი საფიცარი ურანოსი და გეა ყოფილა დასაბამიდან, ე.ი. ცა და მიწა. ეს ფაქტი შინაარსითაც და ეტიმოლოგიურადაც უძველეს ქართულში (სვანურში) დასტურდება: გიმ-გეა-ღმერთების დედათა დედა. „გიმი ლამზურ ღერმეთ (ღერბეთ)-მიწის სალოცავი ღმერთი-დღემდე მტკიცედ შემორჩენილი წარმართული საფიცარია. ამას ემატება ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ სვანი ცასა და მიწას ერთად იფიცებს: დეცე-გიმი ლამზურლო (ცისა და მიწის მადლმა). ამით დასტურდება კოლხური ფიცის პოპულარობა ძველ საბერძნეთში (ა. ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში“, თბ.

>>>>>>>>>>>>>> 7




„დ ე დ ა ე ნ ა"

რუბრიკას უძღვება მანანა შულაია.

„ქართულ ენაშია ჩვენი ქართველობა"

# იაკობის „დედაენა" და ასო-ნიშნებით გადმოცემული საიდუმლო

6 <<<<<<<<<<<<<<

1964).

ბაბილონურ-ლურსმულ ტექსტებში იხსენიება „ხე ცხოვრებისა".

წარღვნის შემდეგ მარდუქი ამბობს: „ქარვის ხეს, მესს, ადგილი შევუცვალე, რომ ვერავის ეპოვნა" (ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგიური ლექსიკონი, თბ.,1984, გვ.23).

საინტერესოდ ჟღერს სიტყვა „ქარვა"(→ქარვა→ქა-რ(უ)ო→ქა-რო), რაც მიშელ ჰესელის წიგნის სახელწოდების-„გადაკარგული ქვეყანა კინტანა როო" - ასოციაციას იწვევს(→ქარვა→ქა-რუო→ქან-ან-რუო→ქიანა რუო→კინტანა როო).

„ცხოვრების ხე" ღმერთმაც გადამალა ადამ და ევას შეცოდების შემდგომ და მცველად ქერუბიმები დაუყენა (შდრ. „...მამასთან ვერავინ მოვა, თუ არა ჩემს მიერ...). სად? ეს კი ძალიან საინტერესოა.

ზემოთ ჩვენ შემთხვევით არ მოგვიხმია სახარების სიტყვა „**ფასის-საცავსა**"(მარკ. 12.41), რასაც თანამედროვე თარგმანით შეესატყვისება საგანძური („და დაჯდა იესუ ფასის - საცავსა მას და ხედვიდა, ვითარ-იგი ერი დასდებდა რვალსა ფასის-საცავსა მას..." თანამედროვე თარგმანი: „და დაჯდა იესო საგანძურის წინ და უყურებდა, როგორ ყრიდა ხალხი ფულს საგანძურში (ბიბლია, თბ. 1991).

კოლხთა საგანძურში ჭეშმარიტი „ფასი"–„ოქროს საწმისი" ინახებოდა. ჭეშმარიტი „ოქროს საწმისის" მნახველი კოლხი კი ნამდვილად წამოიძახებდა: **ხო**(!)-**ხო**(!)-**ბი**-(ჭ)ო! →ხოხობი, რასაც ლათინურად **faisan** შეესატყვისება (კოლხეთის ტერიტორიაზე მართლაც ბლომად გვხვდება ხოხობი). „ოქროს საწმისის" მითში უდაოდ ასახული იყო ისტორიული რეალობა. კოლხეთი ცნობილი იყო ოქროს ქვიშით, რომლის მოპოვების საიდუმლოსაც ბერძნები დაეძებდნენ. არსებული ვერსიებით, საწმისი იყო ან ბეწვი, რითაც ხდებოდა ოქროს გამორჩევა, ან წიგნი, რაშიაც ოქროს მოპოვების წესი იყო აღწერილი.

„ოქროს საწმისი", როგორც პოეტური სიმბოლო, ისევე როგორც მდიდარი, ძლიერი და განათლებული ქვეყნის–კოლხეთის, ძველი საქართველოს სახელი, მთელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ იცის, იცოდა ათასწლეულების მანძილზე, და თუ ვინმე მას უგულვებელყოფს, ეს უმეცრების შედეგია, ან სულიერი უმწეობით ფაქტის უგულვებელყოფისა..." (აკ. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი).

სვანეთში დღემდე შემორჩა ოქროს მოპოვების წესი ცხვრის ტყავით. ტექნოლოგია სრულიად მარტივია: ცხვრის ტყავს ჩააფენენ წყლის ფსკერზე. ბობოქარი ენგურის მიერ მდინარის კალაპოტიდან გამორეცხილი ოქროს ქვიშა კი ილექება ცხვრის ბეწვზე.

გვინდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ აღწერილი ტექნოლოგია ანალოგიურია სულიერი ოქროს, ცხოვრების ოქროს წესის **(მართლითა სარწმუნოებითა და კეთილის მსახურებით... ანუ ცხოვრება დევიზით: „ბოროტსა სძლია კეთილმან არსება მისი გრძელია...")** მოპოვებისა: ცხვრის ტყავი მაცხოვრის სიმბოლური სამოსელია (შეადარე: „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელგვიღებიეს და ქრისტე შეგვიმოსიეს..."). სულიერი ოქროს მოსაპოვებლად იგი ღრმად უნდა ჩავაფინოთ გულის სიღრმეში. „ბობოქარი მდინარე"-ღვთის მადლი (ბიბლიური მდინარე სიმბოლური ღვთის მადლია) „სინანულის საიდუმლოს" წყალობით, რეცხავს ჩვენს სულიერ „მიწიერებას" და „გამონთავისუფლებული" სული „ილექება" გულის სიღრმეში ჩაფენილ ცხვრის ტყავზე–„ქრისტეს სამოსელზე", ამენ!

კოლხების ცხოვრების ოქროს წესის (სულიერი „ოქროს საწმისის") დასასაბუთებლად მოვიხმობთ ციტატებს (სოლომონ ბრძენის მსგავსად, რომელმაც ღვთისგან მხოლოდ სიბრძნე ითხოვა და მატერიალურიც უხვად დაემადლა, კოლხებსაც თავიანთი ცხოვრების წესის წყალობით „ოქროს საწმისის" პატრონები გახდნენ):

„...სანთელი გუამისაი არს **თუალი**. უკუეთუ **თუალი** შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს. უკუეთუ **თუალი** შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. უკუეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რაოდენ-მე ? (თარგმანი: სხეულის სანთელი არის **თვალი**. თუ შენი **თვალი** წმიდაა, ნათელი იქნება შენი სხეულიც. ხოლო თუ შენი **თვალი** უწმინდურია, ბნელი იქნება შენი სხეულიც. მაგრამ თუ შენში ნათელიც ბნელია, როგორიღა იქნება ბნელი?) /მათე, თ.6, 22-23/.

„...როგორც კი შეხედეს კირკეს **თვალებს**, ყოველი მათგანი მიხვდა, რომ იგი აიეტის ღვიძლი და იყო... როგორც კი შენიშნა, რომ ქალწულმა (მედეა-ავტ) **თვალები** ზევით ასწია, მყისვე მოუნდა (კირკეს, მედეას მამიდას-ავტ.), რომ მისგან მშობლიური ენა გაეგონა, რადგან ჰელიოსის მთელი მოდგმა ცხადი ამოსაცნობი იყო. ჰელიოსის ნაშიერები **თვალთა** ციალით შორს აფრქვევდნენ ოქროს ბრწყინვალებას... მრისხანე აიეტის ნაშიერმა კოლხურ ენაზე დაილაპარაკა..." (აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა.თბ.,1972, გვ.237,287,289).

***ვფიქრობ, „ფასიდანაა" ნაწარმოები მდინარე რიონის ძველი სახელწოდება -„ფაზისი"(ფასი→ფასისი→ფაზისი. შეადარე: faisan), ხოლო საქართველო არის სულიერი „ოქროს საწმისის" სულიერი საგანძური-სულიერი „ფასის-საცავი"...(Sic !)***

ალბათ შემთხვევითი არაა, რომ საქართველოს დღევანდელი სახელწოდება-„საქართველო"- უფლის სახელს უკავშირდება. ამის დასასაბუთებლად მოვიხმობთ ციტატას:

***„...რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩვენი, და ჩუენ ვართ ერი შენნი, ყოველნივე ქმნულნი ხელთა შენთანი ვართ და სახელი შენი წოდებულ არს ჩუენზედა და შეგვიწყალენ ჩუენ..."*** (ძილად მისვლის ლოცვები, ტროპარნი).

უფალს მრავალი სახელი აქვს: ელ, ელოჰიმ, ადონაი... ზაქარია წინასწარმეტყველთან უფლის სახელია (სა-**ხელ**-ი არსს ამ-**ხელ**-ს - ავტ.) „**ერთ**":

***„...და იყოს უფალი მეუფედ ყოველსა ქუეყანასა ზედა. მას დღესა*** (წმიდა მამათა განმარტებით ბოლოჟამი-ავტ.) ***იყოს უფალი მხოლოი ერთ და სახელი მისი ერთ..."***

იგივეს ამოწმებს:

***„..ის რაიცა იქმნა ერთ-ის მიერ არის ხატებაი ერთ-ისა..."/დიონისე არეოპაგელი/.***

***„ჰე, ღმ-ერთ-ო ერთ-ო შენ შეჰქმენ, სახე ყოვლისა ტანისა..."/შოთა/.***

საინტერესოა, რომ ცნება „ღმ-**ერთ**-ი"-ს (შეად. უკუ-ღმ-**ართ**-ი) არქიტექტონიკის განხილვისას, ძირითად საამშენებლო მასალად წარმოგვიდგება „**ერთ**"(="**ართ**". **მეგრ**.). იგივე საამშენებლო მასალა გვაქვს ცნებებში: „ქ-**ართ**-ველი", „სა-ქ-**ართ**-ველო"(შეად. ჟღერადობა-სამჭედლო!!!), „მ-**ართ**-ლ-მადიდებელი", „მ-**ართ**-ალი" (მ-ართ-ალი მხოლოდ ღმ-**ერთ**-ია. „**ართ**-იშ მ-**ართ**-ალო მადიდებელი→მ-**ართ**-ლ-მადიდებელიე!!!"), მ-**ართ**-ვა...(უფლისაი არს ცაი და ქუეყანაი და თვითონაც მ-**ართ**-ავს, ა-მენ!), **art-os** (**ართ**-ოსი უფლის პურია და უფლის სახელიც მიტომაც აქვს), ქ-ართ-უ, ქ-**ორთ**-უ (შეად. **ortho-doxs**→ქართ. მ-**ართ**-ლ-მორწმუნე) ანუ ერთ=ართ=ორთ...

ასო-ნიშნებს შესაბამისი სახელდებებიც აქვს: **ი**-ინ და **ა**-ან.

დედაენის პირველი გაკვეთილი ამბობს, რომ „**ინან**"- თანამედროვე ქართულში იგივეა, რაც „შეინანე".

„...მათ დღეთა შინა მოვიდა იოანე ნათლისმცემელი ქადაგებად უდაბნოსა მას ჰურიასტანისასა და იტყოდა: შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათაი" /მათე,3.1,2/.

„...ერი, რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი და რომელნი სხდეს სოფელსა აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი აღმოუბრწყინდა მათ. მიერითგან იწყო იესუ ქადაგებად და სიტყუად: შეინანეთ, რამეთუ მოახლოვებულ არს სასუფეველი ცათაი/მათე, 4. 16,17.

**ია**, როგორც ზემოთ ვნახეთ, „ცოდვით დაცემაა, „აღდგომა" კი, როგორც ეკლესიის მამები გვასწავლიან, მხოლოდ სინანულის გზითაა–„სინანულის საიდუმლოთია" შესაძლებელი (შიც!) **ია**, ამასთანავე არის მოწოდება სინანულისაკენ-„**ინან**" ანუ **ია**, მართლაც, გაზაფხულის (ჩვენი სულიერი გამოღვიძების) მახარობელია.

„...საკმაოდ ბევრი დაწერილა ქართველთა და შუმერთა ნათესაობაზე. შუმერების ღვთაება **ინანა** (ნანა)–„ცის დედოფალი", აგრეთვე გლოვის ქალღმერთიცაა..."(აკ. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი).

ინანას ქ. ურუკში ჰქონდა ტაძარი „ეანა", რომელიც კოდირებული ენა იყო და მისი მეშვეობით ქურუმები უკავშირდებოდნენ ზეცას (ზეციურ სამყაროს)...

იქნებ, სინანულისკენ მოწოდებასთან ერთად, ი. გოგებაშვილის სურვილია მიანიშნოს, რომ ქართული ენა სასუფეველთ, ზეციურ სამყაროსთან, ღმერთთან ურთიერთობის ენაა? ამის დასასაბუთებლად მოვიხმობთ ასეთ ციტატას:

„...ქართველი ავტორის (იოანე ზოსიმეს) ესკატოლოგიური კონცეფციით, ქართული ენა მეორედ მოსვლის ჟამს იქცევა ერთადერთ საღვთო ენად. ამ ენაზე ეუწყება ღვთისაგან ყოველივე... ქართული დაიჭერს არამეულის, ანუ ადამის ენის ადგილს, მაგრამ ქართულში უნდა გამომჟღავნდეს ის, რაც დაფარულია. „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა". ის, რაც დამარხულია სამომავლოდ-ესაა ენის ლოგოსური აზრი, ანუ „სიტყვა აზრი" და ქართული ენა უნდა იქცეს ენა ლოგოსად („ენა-საზრისად"). ამიტომ, სხვა ენებს უმაღლესი აზრი ქართულით ეუწყებათ, რაც გულისხმობს, რომ კვლავაც იქნება სხვა ენებიც, მაგრამ ლოგოსური სიბრძნე მათ ქართულიდან შეიძლება შეითვისონ. ე. ი. ჩვეულებრივი სახით ქართულიც და სხვა ენებიც არსებობენ და იქნებიან, ოღონდ ქართული შეიძენს ლოგოსურ ბუნებას, ანუ პირველ ადამის ენის ღირსებებს..." (რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა", I, თ. 1990. გვ. 65).

„ინანადან" ნაწარმოებია სიტყვები: ნანა, ნინო, ნინა, ნენა, დედა...

ჯერ კიდევ ჩვ.წ. აღრიცხვამდე მე-13 საუკუნეში, როცა არგონავტები შემოვიდნენ კოლხეთში ოქროს საწმისის მოსატაცებლად, ფაზისის შესასვლელში იდგა ქალის, უფლის დედის, ანუ ადგილის დედის ქანდაკება...

**ია**-ს გაცნობით ი. გოგებაშვილმა მოგვითხრო სამყაროზე, მის გამგებელზე, აგრეთვე ჩვენს „მამულზე, ენასა და სარწმუნოებაზე", თან სინანულისაკენ მოგვიწოდა, სიყვარულით თითი დაგვიქნია („თითი", მე-2 გაკვეთილი) და უკანასკნელი სამსჯავროც შეგვახსენა („საათი", მესამე გაკვეთილი). ***„საათი"- ამ ცნებაში შესაძლოა ბოლოჟამზე მინიშნება იყოს: საათი→201*10=2010 ??? თუ, ათ-ობით ათვლის სისტემისა და რაჭველების ხასიათის - „ქვე შენი ჭირიმე ბოშო..." - გათვალისწინებით, გვიანდება...და →2020 ??? მაგრამ ნუ დაგვავიწყდება მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება: ბოლო ჟამის შესახებ მხოლოდ მამამ იცის-არც ძემ და არც ანგელოზებმა არ იციან... თუმცა, როგორც ეკლესიის მამები გვამხნევებენ, უფალი განსაცდელში არ მიგვატოვებს, ამენ!.. ბოლოჟამის მოახლოების ერთი მინიშნება სიყვარულის განხმობაა, რაც დღეს განსაკუთრებულად იგრძნობა... მოგვიტევე უფალო...*** ): „შეინანეთ, მოახლოებულ არს სასუფეველი ცათაი"...

საინტერესოა, რომ ი. გოგებაშვილს „დედაენის" მე-6 გამოცემაში (1888) შეუტანია ასეთი ცვლილება (ალბათ, არც თუ შემთხვევით): ცალკე გამოუყვია ახლად შესასწავლი ასო-ბგერა „**თ**" (თითი, თი თი, თ ი თ ი, თ ).

კიდევ უფრო საინტერესოა, რომ მარცვალი „**თი**" თხემის ადგილს ნიშნავს (ღ-მერ-თი, „ღორიონ- თი"). ეს ჩვენი შუბლის არეა, (ინტელექტუალურ შესაძლებლობათა კონცენტრაციის ადგილი), სადაც ნათლობისას მღვდელმა პირველი მირონი გვცხო:

„მირონცხება შესრულდება ნათლისღების შემდეგ მაშინვე. მღვდელი ჯვრის სახით ცხებს წმინდა მირონს შუბლზე, თვალებზე, ნესტოებზე, ყურებზე, გულზე, ხელებსა და ფეხებზე და იტყვის: „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა..." ყოველივე სულიერი ნიჭიერების განსაწმენდელად და განსამტკიცებლად".

არის მოსაზრება, რომ მითოლოგიური მზის შვილები (ქართველთა მითოლოგიური წინაპარი მზეა, ბერძნულად ჰელიოსი) იგივე ბიბლიური ღვთის შვილები არიან:

„...სეითის ჩამომავლები იყვნენ სათნონი და კეთილნი. იმათ დაერქვათ სახელად **ძენი ღვთისანი** იმიტომ, რომ ღმერთი მუდამ ახსოვდათ, ერთგულად თაყვანს სცემდნენ მას და ასრულებდნენ მის ნებასა. აგრეთვე დიდი სიყვარული და ხათრი ჰქონდათ ერთმანეთისა და ერიდებოდნენ ყოველ ბოროტ საქმესა, მამები და პაპები თავის შვილებს და შვილიშვილებს ყოველ კეთილს ასწავლიდნენ და კეთილ მაგალითს უჩვენებდნენ. ერთმა მათგანმა, სახელად ენოქმა, ისე აამო უფალსა თავისი წმინდა ცხოვრებით, რომ უფალმა სიკვდილს წაართვა მასზედ ძალა და ზეცაში ცოცხალი აიტაცა.

კაენის ჩამომავალნი კი მასვე დაემსგავსნენ და იყვნენ ბოროტნი. იმათ სრულიად დაივიწყეს ღმერთი, სძულდათ ერთმანეთი, ახსოვდათ მარტო თავისი თავი და ბიწიერი ცხოვრება ჰქონდათ. მათ შორის გავრცელდა შური, სიცრუე, ცილისწამება, გარყვნილება, შფოთი, მკვლელობა და სხვა ბოროტება. ამიტომ მათ დაერქვათ ძენი კაცისანი..."(ი. გოგებაშვილი, „საღმრთო ისტორია", თბ. 1992, გვ. 16).

ვფიქრობთ, რომ ჩვენ, ქართველებმა, უნდა შევასრულოთ გოგებაშვილის სულის „დაფარული" გამოძახილი: მოვეშვათ ჩვენი **პირ-მშო**-ების „**ოსპი**-ს შეჭამანდში" გაყიდვას (რომ არ მ-ოვისპო-თ) და მოძღვართმოძღვრის მიერ ჩვენს ბავშვურ ქვეცნობიერში ჩათესილი ჭარმაგობაში მაინც აღმოვაცენოთ: შევინანოთ (უსიყვარულობა, შური, სიცრუე, ცილისწამება, გარყვნილება, შფოთი, მკვლელობა და სხვა ბოროტება), სანამ გონებისა და ხელების დამორჩილება შეგვიძლია, შევაერთოთ სამი თითი (ცერი, საჩვენებელი და შუა, რომლებიც სიმბოლურად ასახავენ ყოვლადწმიდა სამებას), მოვკეცოთ ორი თითი (ნეკი და არათითი-ქრისტეს ორი ბუნების: ღვთაებრივისა და კაცობრივის სიმბოლო), მივიდოთ ჩვენ-ჩვენ-„**თი**"-ზე და ჩავიბუტბუტოთ ურწმუნო თომას სიტყვები: „ღმერთი ჩემი და უფალი ჩემი..." და იქნებ ღმერთმა გადამალული „ცხოვრების ხეც" გამოგვიჩინოს ამით ჩვენი ცხოვრების გამოღვიძებას საშველი დაადგეს. **ია**ც ხომ გაზაფხულის, სიცოცხლის, ბუნების გაღვიძების მახარობელია.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ამენ!

**ვახტანგ ქანდარია.**



*თითქმის ყოველთვის ხალხმრავლობაა სამოქალაქო რეესტრის ხონის სამსახურში. აქ შესვლისთანავე საქმიანი გარემო დაგხვდებათ. კომპიუტერებთან მჯდომი მომსახურე პერსონალი ყოველ შეკითხვაზე თავაზიანად, მომღიმარი სახით გპასუხობენ და მზად არიან მომსახურებისთვის.*

*ამ სამსახურს დიდიხანია ხელმძღვანელობს ახალგაზრდა იურისტი ნინო ფარფალია, საქმისმცოდნე, ძალზე მოწესრიგებული და თავაზიანი ქალბატონი. მისმა სამუშაო გამოცდილებამ განაპირობა აღნიშნული სამსახურის წარმატებები, რაც ხალხის მომსახურებაში გამოიხატება. ამ სისტემაში ახალი, ინოვაციური სერვისების დანერგვით ყველა მოსულმა იცის, რომ ინფორმაციის გაცემა თუ საჭირო დოკუმენტების მოპოვება ხანგრძლივ დროს არ საჭიროებს, რომ აქ ყველაფერი ელექტრონული ვერსიით კეთდება. რაც მთავარია, სამოქალაქო რეესტრს თუ წლების წინათ მომსახურების ძალზე მწირი ფუნქციები ჰქონდა, დღეს ის საკმაოზე მეტად მოცულობითია.*

*თუ ვის დაქვემდებარებაშია სააგენტო, რა ფუნქციები გააჩნია, როგორ ემსახურება სერვისით დაინტერესებულ ადამიანებს, თუ რა შეიცვალა, რა გაადვილდა, რომელი კატეგორიის ადამიანებს აქვთ შეღავათები... გვესაუბრება სახელმწიფო სერვისის განვითარების სააგენტოს უფროსი ხონის მუნიციპალიტეტში ნინო ფარფალია:*

# სიახლეების კვალდაკვალ

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომლის ტერიტორიულ ორგანოს წარმოადგენს ხონის სამოქალაქო რეესტრის სამსახური, რომელზეც კონტროლს ახორციელებს სააგენტო. სამსახურს საკმაოდ მრავალფეროვანი ფუნქციები აქვს, მას განეკუთვნება:

სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია, დაბადების და გარდაცვალების, ასევე პირის დაბადების და გარდაცვალების რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა;

სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან დამატების შეტანა, სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობა;

სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობისა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის შესახებ ცნობის გაცემა;

სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაცია;

საქართველოს მოქალაქეზე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირზე მათი საზღვარგარეთ დაქორწინების მიზნით ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ ცნობის გაცემა;

საქართველოს მოქალაქეობის დადგენა;

მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურისთვის გადასაგზავნად საქართველოს მოქალაქეობისა და მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის საკითხებზე დაინტერესებული პირების განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების მიღება;

საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

საქართველოს მოქალაქეობის დადასტურების შესახებ ცნობის გაცემა;

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზიკურ პირთა რეგისტრაცია და რეგისტრაციიდან მოხსნა;

პირადობის და ბინადრობის მოწმობების გაცემა;

ციფრული ხელმოწერისა და ავთენტიფიკაციის სერტიფიკატების შექმნა და მათთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა;

გაცემულ პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე აღნიშვნის „სტუდენტი" და პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის უკონტაქტო მიკროსქემაზე სტუდენტის სტატუსის შესახებ ინფორმაციის დატანის თაობაზე განაცხადის მიღება;

პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის უკონტაქტო მიკროსქემაზე სტუდენტის სტატუსის შესახებ ინფორმაციის განახლება;

საქართველოს მოქალაქის პასპორტის, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტისა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის სამგზავრო დოკუმენტის გაცემის შესახებ განცხადების მიღება-გაცემა პირადობის ნეიტრალური მოწმობის: გაცემის შესახებ განცხადების მიღება და დაინტერესებული პირისათვის გადაცემა;

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის შესახებ განცხადების მიღება და დაინტერესებული პირისათვის გადაცემა. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობის გაცემის შესახებ განცხადების მიღება, საინფორმაციო ბარათის გაცემა;

მისამართზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობის შესახებ ცნობის გაცემა;

საქართველოს ტერიტორიაზე ვიზის გაცემა; დაბადების/გარდაცვალების, მისამართზე რეგისტრაციის, პირადობის დადასტურების ან მოქალაქეობრივი კუთვნილების შესახებ დოკუმენტის (ინფორმაციის) უცხო ქვეყნიდან გამოთხოვასთან დაკავშირებით სხვა სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სააგენტოს სახელზე შედგენილი განცხადებების მიღება და სააგენტოსათვის მიწოდება.

როგორც ხედავთ საკმაოდ მრავალმხრივი სამუშაოს გაწევა უწევს სამსახურის სამ თანამშრომელს, ამ მიმართულებებიდან საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის, მოქალაქეობის კუთხით მოქალაქეთა მომსახურებას ახორციელებს სამსახურის მთავარი სპეციალისტი შორენა ზარანდია, ხოლო სამოქალაქო აქტების კუთხით მოქალაქეებს მომსახურებას უწევს სამსახურის მთავარი სპეციალისტი სოფიკო ლომაია.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ (ამჟამად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) ახალი და ინოვაციური სერვისების დანერგვით დაარსების დღიდან დღემდე, მნიშვნელოვანი რეფორმა და პროექტები განახორციელა. აღსანიშნავია ისეთი სერვისები, როგორიცაა დაჩქარებული მომსახურებებით (ერთ დღეში, სამ დღეში და ხუთ დღეში) დოკუმენტების გაცემა სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრაციის და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტის და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის თაობაზე მოთხოვნის ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობა, დისტანციური მომსახურებით მოთხოვნის დაყენებისა და დოკუმენტის მიღების წესი, ერთ სივრცეში რამოდენიმე მომსახურების მიღების შესაძლებლობა, მოქალაქეობის მიღების, მინიჭების, დადგენის, გასვლის დაჩქარებული და გამარტივებული წესები.

კანონმდებელმა გაითვალისწინა შეღავათები სოციალურად დაუცველ პირებზე. იმ პირებზე, რომელთა სოციალურად დაუცველთა ბაზაში 70 ათასზე ნაკლები ქულა ერიცხება, რომლის გადამოწმებაც ადგილზე ხდება, უფასოდ გაიცემა პირადობის ელექტრონული მოწმობა, ასევე სამოქალაქო აქტების კუთხით საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან პირები, რომელთა ქულა შეადგენს 57.000-ზე ნაკლებს, მკითხველი შეცდომაში რომ არ შევიყვანო, ყურადღება უნდა გავამახვილო, რომ აქ საუბარი არ არის დაჩქარებულ მომსახურებაზე, შეღავათებია დევნილებზე.

აღსანიშნავია, რომ ყველა მნიშვნელოვანი პროექტი, რაც განხორციელდა და ხორციელდება სააგენტოში, მოწონებული და მხარდაჭერილია დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან. ამის დადასტურებაა იუსტიციის მინისტრის სტუმრობა ყველა ტერიტორიულ სამსახურში, მათშორის ხონის სამოქალაქო რეესტრის სამსახურში. იუსტიციის მინისტრის მხარდაჭერით 2013 წლის მაის-ივლისში განხორციელდა დევნილებზე პირადობის ელექტრონული მოწმობის უფასოდ გაცემის აქცია, რომლის ფარგლებში ხონის სამსახურის მიერ 1200 დევნილზე ყოველ შაბათ-კვირას გაწეულიქნა მომსახურება. მიმდინარე წლის 23 იანვარს დამთავრდა ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებზე პირადობის ელექტრონული მოწმობის საფასურის გარეშე გაცემის აქცია. ამჟამად მიმდინარეობს 24 თებერვლამდე 17დან 22 წლამდე პირებზე და პრობაციონერებზე პირველადი პირადობის ელექტრონული მოწმობის საფასურის გარეშე გაცემის აქცია. სიახლეა ასევე გამზადებული დოკუმენტის ნებისმიერ სამსახურში მიღების შესაძლებლობა, რაც ნიშნავს, რომ ხონის სამსახურში ჩაბარებული პირადობის მოწმობა, პასპორტი, სამოქალაქო აქტის მოწმობა მოქალაქემ შესაძლებელია მიიღოს ნებისმიერ მითითებულ სამსახურში, ან ფოსტის მეშვეობით.

2013 წლის 25 დეკემბერს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი ამნისტიის შესახებ, რომელიც ათავისუფლებს მოქალაქეებს სისხლის სამართლებლივი პასუხისმგებლობისაგან დოკუმენტების გაყალბებისთვის თუ 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მიმართავენ სააგენტოს ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულოს. მიუხედავად აღნიშნულისა, გასაკეთებელი ბევრია, მიმდინარეობს სამოქალქო აქტების ელექტრონული ბაზის ყოველდღიური განახლება, დოკუმენტების შესაბამისობაში მოყვანა, მომავალში იგეგმება დამისამართების პროექტის გაგრძელება (დღემდე განხორციელდა 12 სოფლის დამისამართება), ბიომეტრიული ელექტრონული ბაზის ფორმირება, ყოველდღიურად მიმდინარეობს შეცდომების სტატისტიკაზე მუშაობა.

ცოტა რამ თქვენს შესახებ:

–2004 წელს სამოქალაქო აქტებისა და საპასპორტო სამსახურების რეფორმის შედეგად ეს ორი სამსახური გაერთიანდა, კონკურსის წესით დავინიშნე სამსახურის უფროსად, გამოვიარეთ ძალიან რთული გზა, შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, რომ დღევანდელი მიღწევები ჩვენი თავდაუზოგავი შრომის შედეგია, როცა შრომის ნაყოფს ხედავ და შენი საქმე გიყვარს, სირთულეები გავიწყდება. ყოველთვის მზად უნდა იყო სიახლისთვის და უნდა მიყვე მას, 2013 წლის სექტემბრის თვეში წარმატებით გავიარე ატესტაცია და ისევ ვაგრძელებ საქმიანობას.

**ესაუბრა
ნანი კილასონია.**

## სოფლის მეურნეობა

# ყველაფერი კოოპერატივების შესახებ

სოფელი და სოფლის მეურნეობა რომ აღორძინდეს, ამისათვის საქართველოს მთავრობამ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავეს პროექტი კოოპერატივების ჩამოყალიბების შესახებ

რა არის კოოპერატივი?

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი არის „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად კოოპერატივის სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი. კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული, მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება და არა საბჭოური კოლმეურნეობის ანალოგი, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მოიცავს მემცენარეობის და ცხოველური პროდუქტების წარმოებას, გადამუშავებას, დაფასოებას, შეფუთვას, შენახვას, გადაზიდვას და რეალიზაციას.

რატომ უნდა გაერთიანდეს გლეხი კოოპერატივში?

კოოპერატივში გაერთიანებული გლეხები სარგებლობენ მთელი რიგი უპირატესობებით. კოოპერატივის ქონება ქონების გადასახადით არ იბეგრება. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი და გრანტი მოგების გადასახადით არ იბეგრება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გათვალისწინებული აქვს კოოპერატივებისთვის მოტობლოკებისა და ხელით სათესების, ლიზინგით (გრძელვადიანი იჯარა გამოსყიდვის უფლებით) გადაცემა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი სარგებლობს უპირატესობით, მიიღოს გრანტი. კოოპერატივი, როგორც გაერთიანება, ითვლება კრედიტუნარიანად და საკრედიტო რესურსი (სესხი) უფრო ხელმისაწვდომია. განსაზღვრულია კოოპერატივებში დასაქმებულთათვის უფასო სწავლა-გადამზადება. კოოპერატივები სასუქს, შხამქიმიკატებს და ჰერბიციდებს შეიძენენ საბითუმო ფასებში. კოოპერატივში უფრო ადვილია დაინერგოს ახალი ტექნოლოგიები და მოწინავეთა გამოცდილება. გაერთიანების შემთხვევაში გლეხს დანახარჯები უმცირდება, შემოსავალი კი ეზრდება, რადგან დანახარჯები რამდენიმე სუბიექტზე ნაწილდება. კოოპერატივს უფრო იაფი დაუჯდება ტექნიკის გამოყენება. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კოოპერატივს მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება იქნება უფრო იაფი, რაც აუცილებელია კონკურენტუნარიანობისთვის. კოოპერატივისთვის უფრო ადვილი იქნება პროდუქციის რეალიზაცია. ნებისმიერ მიმღებს ურჩევნია საქონელი შეისყიდოს ერთი ორგანიზაციიდან და არა ცალკეული გლეხიდან.

როგორია კოოპერატივში გაერთიანების წესი?

კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს კოოპერატივის საქმიანობაში და ფლობს პაის (შენატანს). მაღალმთიან რეგიონებში კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 3-ზე, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე 5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ქონება იქმნება წევრთა (მეპაიეთა) შენატანით, საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებით და გრანტით. კოოპერატივი შეღავათებით ისარგებლებს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მიიღებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსს. სტატუსს ანიჭებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. სტატუსის მისაღებად საჭიროა გაერთიანებით დაინტერესებული პირები დარეგისტრირდნენ სამეწარმეო რეესტრში კოოპერატივის ორგანიზაციული ფორმით, რომელსაც ახორციელებს რეგისტრაციაზე უფლებამოსილი ორგანო (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით. რეგისტრაციისათვის წარდგენილი განცხადება სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს:

•საფირმო სახელწოდებას • ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დასახელებას (კოოპერატივი) • ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს) •ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის სახელს, გვარს, საცხოვრებელ ადგილს, მოქალაქეობას, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახელწოდებას, ნომერს, პირად ნომერს. •წარმომადგენლობის უფლებამოსილებას; •საწესდებო კაპიტალის ოდენობასა და თითოეული პარტნიორის წილს საწესდებო კაპიტალში (პროცენტებში, თანხებში) •საწარმოს ხელმძღვანელის (ყოველი დირექტორის) სახელს, გვარს, საცხოვრებელ ადგილს, მოქალაქეობას, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახელწოდებას, ნომერს, პირად ნომერს. •განცხადებას სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ ხელს აწერს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილი პირი

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:
• კოოპერატივის წესდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდება უნდა ითვალისწინებდეს სავალდებულო სარეზერვო ფონდის შექმნისა და განკარგვის წესს, წარმომადგენელთა ან საერთო კრების მოწვევის ულებამოსილებას, შენატანის (პაის) ოდენობას, მოგებისა და დივიდენდების განაწილების წესს და სხვა საკითხებს. •სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. რეგისტრაციისათვის წარსადგენი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების პირის ხელმოწერის ნიმუში და თანდართული დოკუმენტები ან მათი ასლები მოითხოვს ნოტარიულ დამოწმებას. კოოპერატივის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია ხორციელდება კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენისთანავე.

სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის დასრულების შემდეგ კოოპერატივის სტატუსის მისაღებად კოოპერატივების განვითარების სააგენტოს უნდა წარედგინოს განცხადება სხვა დოკუმენტებთან ერთად:

1. ამონაწერი მეწარმეთა იურიდიული პირების რეესტრიდან, რითაც დასტურდება რეგისტრაციის ფაქტი და განმცხადებლის უფლებამოსილება;

2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რითაც დასტურდება მათი სასოფლო-სამეურნეო ქონებაზე საკუთრების უფლება;

3. კოოპერატივის წესდება.

თუ წარმოდგენილი საბუთები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭების შესახებ. სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მონიტორინგი, რის საფუძველზეც ადგენს, გაუგრძელოს თუ შეუწყვიტოს კოოპერატივის სტატუსი.

რით განსხვავდება კოოპერატივი სხვა გაერთიანებებისაგან?

კოოპერატივს აქვს ორი მთავარი პრინციპი, ნებაყოფილობითი გაერთიანება და თანასწორუფლებიანობა. მისი მართვა ხორციელდება დემოკრატიული პრინციპით, ყველა წევრი თანასწორია, 100 ჰა-ს მფლობელს და 1 ჰა-ს მფლობელს გადაწყვეტილების მიღებისას აქვს მხოლოდ თითო ხმის უფლება. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, რომელსაც მინიჭებული აქვს სტატუსი, სარგებლობს რიგი უპირატესობებით, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ხობის პირობებში შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ჩამოყალიბდეს კოოპერატივები, როგორც მემცენარეობის, ასევე მეცხოველეობის მიმართულებით. იქ, სადაც ჩვენ გვაქვს ერთიანი ფართობები და კლიმატური პირობები გვაძლევს საშუალებას მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჩამოვაყალიბოთ კოოპერატივი მესიმინდეობის მიმართულებით. ერთიანი ფართობის შემთხვევაში, ბევრად უფრო რაციონალურად ხდება ტექნიკის გამოყენება. შესაძლებელია მოვაწყოთ კოოპერატივები სასათბურე მეურნეობის მიმართულებით. თუ სათბურში მარტიდან სექტემბრამდე მოიყვანენ მაგალითად კიტრს, პომიდორს, ხოლო სექტემბრიდან მარტამდე ცერეცოს, სათბური მთელი წლის განმავლობაში იქნება დატვირთული. მეცხოველეობის დარგში ჩვენ გვყავს ისეთი მეურნეები, რომლებიც ცხოვრობენ ერთ სოფელში, ჰყავთ 10 სულზე მეტი პირუტყვი და მომთაბარე მესაქონლეობას ეწევიან. მათი კოოპერატივში გაერთიანების შემთხვევაში, ისინი უფრო ადვილად გაუმკლავდებიან პრობლემებს და ექნებათ უპირატესობები. ასევე შესაძლებელია კოოპერატივების ჩამოყალიბება მეფრინველეობის, მეფუტკრეობის და სხვა მიმართულებითაც.

# როდის და როგორ დავრგოთ ხეხილოვანი კულტურები

პირველ რიგში ვარჩევთ სარგავ მასალას, სარგავი მასალის შერჩევის დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ:

1. ნერგი უმჯობესია იყოს ერთწლიანი, სარგავი მასალის ფესვი უნდა იყოს ძლიერი, კარგად დატოტვილი და განვითარებული.

2. ნერგი უნდა იყოს სწორი ზრდის, ნამყენის ადგილიდან ნაზარდი უნდა ამოდიოდეს 90 გრადუსით ნიადაგის მიმართ. ნერგის სასურველი სიმაღლე 130-160 სმ-ია,ხოლო შტამბის დიამეტრი უნდა იყოს არანაკლებ 10-12 მმ.

3. დიდი მნიშვნელობა აქვს სარგავი მასალის მიწოდების წყაროების დადგენას. სარგავი მასალა უნდა შეიძინოთ მხოლოდ ნერგის კვალიფიცირებული მწარმოებლებისაგან, რომლებიც კარგი რეპუტაციით სარგებლობენ.



ნერგის დარგვა წარმოებს შემოდგომასა და გაზაფხულზე, უპირატესობა ენიჭება შემოდგომაზე გაშენებულ ბაღებს, სადაც ნერგების საშუალო პროცენტული გახარება 96-98%-ია. შემოდგომის ბაღი რიგი უპირატესობებით ხასიათდება:

1. საქართველოს უმეტეს რაიონებში შემოდგომა ხანგრძლივია და მეტად ხელსაყრელი კლიმატური რეჟიმით გამოირჩევა.

2.ნიადაგები ზამთრის პერიოდში ხშირად არ იყინება ან მათი გაყინვა მხოლოდ ნიადაგის ზედაპირით შემოიფარგლება.

3. შემოდგომაზე დარგული ხეხილი ადაპტირებას, ახალი ფესვების წარმოქმნას განაგრძობს გვიან შემოდგომამდე და ზამთრის თვეებშიც, რაც ხელს უწყობს ადრე გაზაფხულზე ვეგეტაციის ნორმალურ დაწყებას.

ბაღის გაშენებას გირჩევთ ნაგალა (ჯუჯა) საძირეებზე დამყნობილი ვაშლისა და მსხლის ნერგებით. ცნობილია, რომ ძლიერ საძირეზე დამყნობილი ხეხილი მძლავრ ვარჯს ივითარებს, ამიტომაც ირგვება დიდ კვების არეზე (10X10, 8X10 ან 8X8 მ-ზე) და ნაყოფს 3-4 წელიწადში იძლევა. თუ ვარჯი მოცულობით პატარაა, მაშინ 3/4 მეტრზე ირგვება, სიმაღლეში 3 მ-მდე იზრდება და მოსავლელადაც ადვილია. ვაშლისა და მსხლის ნერგები ირგვება 45-60 სმ. სიღრმისა და 45-50 სმ სიგანის ორმოში. ორმოებში ნერგების დარგვისას შეაქვთ 200-300 გრ. კომპლექსური სასუქი -NPK-5-7კგ ორგანული სასუქი (ნახევრად დამწვარი ნაკელი, ტორფკომბოსტი და სხვ) და ნიადაგის ნაზავი. ამის შემდეგ ორმო იფარება 2-3 სმ. ნიადაგის ფენით. ხეხილის ფესვების სასუქთან უშუალო კონტაქტი იწვევს მათ დაზიანებას და გახმობას. ნერგი დარგვისთანავე უნდა მოირწყას. წვიმიანი ამინდის შემთხვევაშიც კი თითოეულ ძირს დაესხმება დაახლოებით 20-30 ლიტრი წყალი. ვაშლისა და მსხლის ბაღის ექსპლოატაციის ხანგრძლივობა 25-30 წელი და მეტია.

კურკოვანი ხილის (ატამი, ბალი, ქლიავი, გარგარი , ალუბალი) ნერგების შემთხვევაშიც შერჩევის მეთოდი იგივეა რაც ზემოთ ავღნიშნეთ. დარგვისას ხდება ორმოს ამოღება 25-35 სმ სიღრმეზე და 50-60 სმ სიგანეზე. ნერგი უნდა დაირგას ისე, რომ საძირე- სანამყენეს შეხორცების ადგილი მიწის ზედაპირიდან 3-5სმ-ით ზევით აღმოჩნდეს. დარგვის წინ ნერგი საბოლოოდ უნდა შემოწმდეს და ფესვს დაზიანებული ნაწილები წაეკვეცოს, დარგვისას კი ფესვები ორმოში კარგად გაიშალოს, ფესვებს შორის სიცარიელე რომ შეივსოს, საჭიროა მიეყაროს ფხვიერი მიწა და ფეხით მაგრად მიეტკეპნოს. ნერგი დარგვისთანავე უნდა მოირწყას, დარგვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ორმოში მიწა დაჯდება,საჭიროა მისი სარზე აკვრა. ნერგის დარგვისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ხეხილისათვის საჭირო კვების არე.

(საორიენტაციო)

| | საძირე | რიგთაშორის მანძილი(მეტრი) | რიგში მანძილი(მეტრი) | მცენარეთა რაოდენობა 1 ჰა-ზე |
|---|---|---|---|---|
| ატამი | ატამი | 5 | 4 | 500 |
| | ნუში | 5 | 4 | 500 |
| | ტყემალი | 5 | 4 | 500 |
| ბალი | ბალამწარა | 8 | 6 | 208 |
| | ბალღოჯი | 7 | 5 | 285 |
| | გიზელა 5 | 4 | 2.5 | 1000 |
| ალუბალი | ალუბალი | 5 | 5 | 400 |
| გარგარი | გარგარი, ჭერამი | 8 | 6 | 208 |
| ქლიავი | ქლიავი,ტყემალი | 5 | 4 | 500 |

ზემოთ აღნიშნული ნერგები შეიძლება შევიძინოთ შემდეგ მისამართზე;
აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძიგურა. ტელ. 595 57 57 49

**ჯემალი ბოკუჩავა,**
ხობის მუნიციპალიტეტი, ახალი სოფელი.
**თენგიზ ტყემალაძე, გრიშა ადეიშვილი.**

# გზაც ასეთი უნდა

***ქალაქი თუ სოფელი მაშინაა კარგი და მიმზიდველი, როდესაც გზები, ტროტუარები, სკვერები, მოედნები, შენობა-ნაგებობები, გამწვანებები ლამაზად და კომფორტულადაა გაკეთებული, რომელიც უპირველესად კარგ აურას ქმნის საზოგადოებაში და რაც მთავარია, ის მოსახლეობისათვის უდიდესი ზრუნვისა და პატივისცემის გამოხატულებაა.***

***ვიცით, რომ ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის უმთავრესი და აუცილებელი გზების კეთილმოწყობაა, რადგანაც ის უპირველესად არამც თუ მიმოსვლის საშუალება, არამედ სოფლისა თუ ქალაქის სახეა. იტყვიან, ოჯახი ჭიშკრიდან იწყებაო, ქალაქი და სოფელი კი ქუჩიდან–გზიდან... სრული ჭეშმარიტებაა!***

***ცხოვრება თავისი ნიუანსებით, ყოველთვის პრობლემებითაა აღსავსე. მთავარია, რას როგორ მოვაგვარებთ, როგორ დავძლევთ, როგორ გამოვძებნით საშუალებებს მის გასაკეთებლად. ეს აუცილებელია და მას წინ ვერაფერი დაუდგება.***

***ამჯერად გზაზეა საუბარი. დიდი ხანია პრობლემურია ხობი–საჯიჯაო–ლესიჭინის გზა, მით უფრო, ხიბულის მონაკვეთი, მის შესახებ ჩვენი გაზეთის ფურცლებზედაც არაერთხელ დაწერილა, მაგრამ...***

***სოფლის მცხოვრებლებს ზაფხულსა თუ ზამთარში ძალიან უჭირდათ მტვერში და წყლის გუბეებში სიარული, სოფლის მოსახლეობამ არაერთხელ გამოხატა გულისტკივილი, ვის არ შესჩივლეს, მაგრამ ნატვრა აქამდე ვერ აიხდინეს, მათ ამჯერად ხმა ქვეყნის ახალ ხელისუფალთ მიაწვდინეს. გზის მშენებლობასთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, მინისტრის მოადგილე და მაჟორიტარი დეპუტატი ეწვივნენ. საქმე დადებითად გადაწყდა. ახლა ხობიდან მეზობელ მუნიციპალიტეტამდე (ჩხოროწყუ) გზა კეთილმოწყობილია. ხალხი ზედმიწევნით კმაყოფილია და მადლობის გამოსახატავ სიტყვებსაც არ იშურებს.***

***გაზეთი „ხობის მოამბეც" დაინტერესდა ამ უდიდესი პრობლემის გადაწყვეტით და შევხვდით გზის მშენებლებს, გავესაუბრეთ შპს „შარა-გზამშენი პირველის" უფროს გულად ბერაიას:***

–ჩვენი სამსახურის უშუალო მოვალეობა გზების მშენებლობა და მისი კეთილმოწყობაა, ამჯერადაც ასე მოხდა...

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო–საქვეუწყებო დაწესებულების–საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში, რომლის საგანსაც შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს საავტომობილო გზის ცალკეული მონაკვეთის სარეალიზაციო სამუშაოები წარმოადგენდა, გამარჯვებულიქნა ჩვენი სამსახური–შ.პ.ს „შარაგზამშენი პირველი", ეს დიდი ღირსების საქმე გახლდათ.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შ.პ.ს „შარაგზამშენი–პირველს" შორის დადებულიქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმად შევასრულეთ შრომატევადი, მაგრამ ძალზე აუცილებელი და მნიშვნელოვანი საქმე.

შევძელით ტრასის აღდგენა და გამაგრება, დაზიანებული ასფალტო–ბეტონის საფარის დაშლა ფრეზირებითა და გრეიდერებით, შემასწორებელი ფენის ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით მოვაწყვეთ 37,000 მეტრ კვადრატზე გზის ნაწილი. მოვახდინეთ გრუნტის დამუშავება კიუვეტებში ექსკევატორით და ტრანსპორტირება ნაყარში.

ასევე შევძელით რკინა-ბეტონის მრგვალი და სწორკუთხა მილების, ფრეზისა და სანიაღვრე არხების მონოლითური ბეტონით მოწყობის სამუშაოები, გზის საფარის ქვედა და ზედა ფენის მოწყობა ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევით 48 ათას კვადრატზე არსებული ამორტიზირებული მილების დემონტაჟი და მათი ახლით შეცვლა.

აღნიშნულ ობიექტზე დაახლოებით 150 ადამიანი დასაქმდა. დასაქმებული მუშახელი და ინჟინერ-სპეციალისტები: სამუშაოთა მწარმოებელი ანზორ გოგინავა, ინჟინრები რევაზ ჩიტაია, ანზორ გულუა, ზური ლოლუა, ირაკლი ჩარტია გამოირჩეოდნენ დისციპლინით, შრომისმოყვარეობით, საქმის ერთგულებით. ესენი არიან ადამიანები, რომელთა ძალისხმევა და მონდომება შესრულებული სამუშაოების მაღალ ხარისხზე იყო ორიენტირებული. აღნიშნული სამუშაოები 3–4 თვე გრძელდებოდა. გზის მშენებლობაზე ბევრი ადამიანი დასაქმდა და კარგი ანაზღაურებაც მიიღო.

ყოველდღე ჩვენთან ერთად იყო და ყოველი ნიუანსით დაინტერესებული გახლდათ შპს „შარაგზამშენი–პირველის" დამფუძნებელი ბატონი გივი შენგელია. ყველამ ერთად კი მეტად მნიშვნელოვანი საქმის ხარისხიანად გაკეთება შევძელით.

ამ კარგი საქმით ყველაზე მეტად დაინტერესებული ადამიანები–ხიბულელები გავახარეთ.

***ესაუბრა***
***ნანი კილასონია.***

# ა უ ქ ც ი ო ნ ი

## დანართი №1

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს №1 დანართის შესაბამისად.**

| № | ქონების დასახელება | სარეგის-ტრაციო ნომერი | გამოშ-ვების წელი | ფერი | ტიპი | გასაყიდი ფასი20%--ის ფასდაკ-ლებით | „ბე" 10% | „ბიჯი" 10% | ბილე-თის ფასი | სახაზინო კოდი ბანკში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ა/მანქანა „ფორდ მონდეო1.8" | NAA 876 | 1994 | ლურჯი | ჰეტჩბეკი | 762 | 76,20 | 76,20 | 20 | 300403332 |
| 2 | ა/მანქანა „ოპელ ომეგა" | BBT 268 | 1995 | მწვანე 8/8 | სედანი | 350 | 35 | 35 | 20 | 300403332 |
| 3 | ა/მანქანა „ფორდიქსფრ-ოულერი" | SDS507 | 1998 | შავი | მაღალი გამავლ-ობის | 2376 | 237,60 | 237,60 | 20 | 300403332 |
| 4 | რენო-მეგანი | MCM-514 | 1997 | ლურჯი-7/8 | | 1280 | 128 | 128 | 20 | 300403332 |
| 5 | ვაზ. 21-07 | NBN-891 | 2005 | თეთრი | | 1280 | 128 | 128 | 20 | 300403332 |

## დანართი №2

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს №2 დანართის შესაბამისად.**

| № | დასახელება | მდებარეო-ბა | რაოდენო-ბა | ერთეუ-ლის გასაყიდ-ი ფასი | „ბე" 10% | ბი-ჯი 10% | მონაწ-ილის ბილე-თი | შემოსუ-ლობების სახაზინ-ო კოდი ბანკში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წისქვილი | ქარიატა | 1 | 55 | 5,5 | 5,5 | 20 | 300403332 |
| 2 | წისქვილი | ქ. ხობი ბარათაშვი-ლის ქუჩა | 1 | 23 | 2,3 | 2,3 | 20 | 300403332 |
| 3 | წყლის მრიცხველი | ახ.სოფელი | 4 | 18,5 | 1,85 | 1,85 | 20 | 300403332 |
| 4 | წყლის მრიცხველი | საგვიჩიო | 3 | 4,5 | 0,45 | 0,45 | 20 | 300403332 |
| 5 | ფუნდამენტის ბლოკი | ქვ .ქვალონი | 37<br>28 | 8,16<br>4,13 | 0,82<br>0,42 | 0,82<br>0,42 | 20 | 300403377 |

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი, ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2014 წლის 28 თებერვალი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები:ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო-20122900, მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი-220101222.

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინაამდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"- ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ)„ბე"-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

გამოსათხოვარი

# პოლმირა (გივი) აბურჯანია



პოლმირა აბურჯანია... კაცი, რომელსაც ხობში ყველა იცნობდა. უკვე ჯანმრთელობაშერყეულს ზურგსუკან ხან ბრაზიანი, ხან ღიმილიანი და ხან სინანულიანი მზერა მიაცილებდა. მენანებოდა, მაგრამ ზოგჯერ მისგან თავმობეზრებულიც ვერ ვიმეტებდი აუგის სათქმელად. ჩვენი ნაცნობობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო, როცა ფილოლოგებს (ის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა) და ჟურნალისტებს საერთო ლექციები გვქონდა. მახსოვს სიცოცხლით სავსე, უნიჭიერესი, ლამაზი, თეთრგვრემანი ბიჭი როგორი სიყვარულით სარგებლობდა პროფესორ-მასწავლებლებში.

თვალწინ მიდგას მე–3 კურსის სტუდენტი დერეფანში ხელკავით რომ მიჰყვებოდა დიდ კორიფეს–სულნათელ აკაკი შანიძეს. მეამაყებოდა, მისი ხობელობა.

ფრიადოსანი სტუდენტი ზამთრის არდადეგებზე ლენინგრადის საგზურით დააჯილდოვეს, იქიდან დაბრუნებული კი იძულებული გახდა აკადემიური აეღო. მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, ის მაინც დააბრუნეს უნივერსიტეტში და სადიპლომოც სანიმუშოდ დაიცვა...

წლების განმავლობაში მისი გვარი ამშვენებდა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებს, განსაკუთრებით ჟურნალ „ნიანგში“ იბეჭდებოდა...

ცხოვრების უკუღმართობამ კვლავ შეახსენა თავისი ავადმყოფობა. ერთხანს თავის მშობლიურ კუთხეში მასწავლებლობდა, რეგიონის და ჩვენი გაზეთის რედაქციების თითქმის ყველდღიური „სტუმარი“ იყო. რაც მახსოვს, ყოველთვის სამსახურს ითხოვდა, თავს არ უტყდებოდა... რაიონის ხელმძღვანელებს ლექსებს უძღვნიდა... ყველამ იცოდა ვინც იყო, მაგრამ შველა ვერავინ შეძლო...

ბოლოს, როგორც მიუსაფარი, როცა ხობს ტოვებდა, გამოგვემშვიდობა, აწი ვერ გნახავთ, იქედან ვერ დავბრუნდებიო. ნათქვამი აუხდა, ნახევარი წელიც ვერ გასძლო ხობის და ხობელების გარეშე.

ბევრს, ძალიან ბევრს (და მათ შორის მეც) მისი უამრავი მინიატურა, ლექსი და ეტიუდი დამრჩა სახსოვრად...

წავიდა და მისთვის წარმოუდგენელი ტკივილი და ცრემლი გაიყოლა თან. ჩვენ კი ერთხელ კიდევ დაგვაფიქრა რომ წუთია წუთისოფელი და ვის რას უმზადებს არავინ იცის. თავის დროზე, წლების წინ, იქნებ მისი ყოფის შეცვლაც შეიძლებოდა? მაგრამ, ალბათ, ესეც მისი ბედისწერა იყო, სინანული უკვე გვიანია...

ნათელი დაადგეს მის საფლავს.

***მერი ლაგვილავა***

# აზრთა ქაოსით დატყვევებული...

ერთხელ, ცნობილმა ლიტერატორმა და საზოგადო მოღვაწემ ბატონმა ნოდარ გრიგალაშვილმა, რომელიც, თურმე, პოლმირა აბურჯანიას ჯგუფელი ყოფილა, და ერთად უსწავლიათ თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მითხრა: პოლი, ნიჭიერებით მოვარაყებული კაცი იყოო... ვინმეს ნათქვამის ციტირება პოლმირა აბურჯანიას ნიჭიერების სადასტუროდ ხობელებს ნამდვილად არ გვჭირდება, ოღონდ ეგაა, გვახარებს ის ფაქტი - სხვებიც რომ ჩვენსავით ფიქრობენ, ეგაა და ეგ! პოლმირა გონით შესაძლებლობების კვალ, უიღბლობით გათანგული გახლდათ. მარტოსულობისთვის დაბადებიდანვე განწირული. მის წარმოსახვით არეალშიც უსაშველობის ცახცახა სტრიქონები ერთურთს ტკივილებად ებმოდნენ, ეს აფორიაქებდა სულმნათს. თხემით ტერფამდე შემოქმედი აზროვნებითმა თვითგვემამ შეიყვანა პოეტურად ქმნილ სამყაროში. ქაოსურ სივრციეთს ვერ მიუსადაგა ნერვული წყობილება და განსხვავებული გახდა, ამას კი ჩვენი ენასწრაფი საზოგადოება სიგიჟედ ნათლავს! ყველაფერი შეიძლება წაგეგვარა ამ ღვთისმიერი კალმოსნისთვის, მაგრამ საუფლო ნათელს ანგელოზებით მოუფლებულს ვერანაირად წაგვრიდი. ეგაა, შემოქმედებითმა შიზოფრენიამ არია მისი ინტელექტუალური სამყარო და ცნობიერებითაც განსხვავებული გახდა, ამასაც ვერ გუობს გაკალკირებული საზოგადოება და ამ მდგომარეობასაც „გაფრენილად“ დიაგნოზირებს! არადა, ეს ნიჭით მთრთოლვარე კალმოსანი, ადამიანურად შეუსაბამობაში იყო სატანჯველად მოვლენილ დროსთან! აზრთა ქაოსის დაუნჯება და კალაპოტში ჩამდინარება იძლევა წყობილსიტყვაობის ნათელს, რომელიც ჟანრულ ჩარჩოში მოქცევით, ღირებულებით ნაწარმოებად უნდა იქცეს. აი, ეს ვერ შეიძლო სულმნათმა, სისტემატიზება ვერ მოახერხა მიმდინარეობითად მოზღვავებული ფიქრებისა და უწესრიგოდ გაეფანტა ნაფიქრ–ნაწერი. პოლმირა ბევრად დიდი იყო, ვიდრე ეს საზოგადოებას ერთი შეხედვით წარმოუდგენია... ხობის ქუჩებს, მშობლიურ რედაქციას, საყვარელი ხალხის სამზეროს დააკლდება ხუსხუსით მოარული, სიყვარულითა და სითბოთი მოუბარი პოლი, ჩვენი პოლმირა აბურჯანია... ნათელი დაგადგეს, საყვარელო ადამიანო, ჩვენო ტკივილიანო კალმოსანო!

წუხილითა და დანანებით

**ლაშა გვასალია**

# ჩვენო პოლმირა!

ცხოვრებისგან ქანცგაცლილი, ავადმყოფობით გაუბედურებული მაინც უბოროტო და ხალასი–ასეთი იყავით თქვენ ბატონო გივი (პოლმირა).

გვიჭირს მწარე სინამდვილის დაჯერება. მთელი ცხოვრების განვლილი გზა საკუთარ ლექსებზე, ნოველებსა და სტატიებზე მუშაობდით, რაც თქვენთვის სულიერი საზრდო და უმთავრესი იყო.

შეგეძლოთ ულუკმაპუროდ ყოფნა, მხოლოდ ჟურნალ-გაზეთები გახლდათ თქვენი სამყარო. საზოგადოებისაგან თავს გარიყულადაც კი გრძნობდით. ადგილი, სადაც სულიერ სიმშვიდესა და ყოველდღიურ საზრდოს ღებულობდით „სათნოების სახლი“ იყო. სწორედ, აქ იკვებებოდით და მადლიერებასაც მუდამ გამოხატავდით.

დასანანია, რომ რამოდენიმე თვის წინ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში აღმოჩნდით, სადაც ფიზიკური ტრავმა მიიღეთ, რაც საბედისწერო გამოდგა. თითქოს არ გაკმარათ განგებამ განსაცდელი. ვაგლახ, რომ სიკვდილიც საშინელი გერგოთ.

ხშირად გითქვამთ: შესაძლებელი რომ იყოს ცხოვრებას რადიკალურად შევცვლიდიო...

გვჯერა, თქვენი სულის პატრონი სამოთხეში დაიმკვიდრებს მარადიულ სასუფეველს.

***სათნოების სახლის თანამშრომლები.***

ხსოვნა

# ნინო კაკულია



ჩემო სანუკვარო და საყვარელო ნინო, ჩემო პატარა დისშვილო, უშენოდ მოვიდა ჩვიდმეტი თებერვალი შენი დაბადების დღე, რომლის მოსვლაც ასე გვიხაროდა მამის კოკა კაკულიას და დედის–ნათია ცატავას ოჯახებს. მიუხედავად შენი ძალიან პატარა ასაკისა, წარუშლელი კვალი დატოვე ჩვენში, ახლობლებში, ნათესავებში.

ტყუპის ცალად დაბადებულო და იმ ტყუპებიდან სიცოცხლე შენარჩუნებულო ნინიკო, შენ იყავი ჩვენი საფიცარი, იმედი, სილამაზე და სიყვარული. მთელი ის გრძნობა, რომლითაც ორივე უნდა გვყვარებოდა, მხოლოდ შენ გერგო, შენ გახდი ორივე ბიძის საფიცარი დისშვილი.

საშინელი ტრაგედიის შემდეგ, რომელმაც შეიწირა შენი დედ-მამის სიცოცხლე, უფალს ვთხოვდით შენს გადარჩენას, მაგრამ უფალმა, ალბათ, როგორც უცოდველი ანგელოზი, არ დაგაშორა შენს ძალზე ახალგაზრდა მშობლებს.

ძნელია უშენოდ თებერვლის მოსვლა. მარტო დაბადების დღეზე კი არა, ჩვენ სულ შენთან ვართ. შენზე, შენი მშობლების სულისთვის ვლოცულობთ, ღმერთმა ცათა სასუფეველში დაამკვიდროს თქვენი სულები.

დაბადების დღეს გილოცავ ნინიკო! თქვენთვის ძვირფასი ადამიანები თქვენს საფლავებს მოვინახულებთ და ყვავილებით შევამკობთ, თქვენი სულის საოხად დანთებული სანთლები კი ყოველთვის იციმციმებს.

უფალი ფარავდეს თქვენს უცოდველ და სპეტაკ სულებს.

***ლაშა ცატავა***

# კაცი უცნაური ბედისწერით...

რამდენი ფურცელი ავსებული სტროფით, სტრიქონით... აბზაც-აბზაც გასდევნებია ფიქრი აზრს, არა რატომ ასე შორს, სიტყვა-სიტყვით ეძებდა სამყაროს, ადამიანებში ადამიანს... ბავშვობაში, როცა მის ნაკვესებს ვკითხულობდი გაზეთში, მაინტერესებდა ვინ იყო. მახსოვს ბუნდოვნად... მერე წლები გავიდა, დიდი, ძალიან დიდი ხნის უნახავი, უკითხავად შემოიჭრა ოთახში, ფურცლები მთხოვა–თეთრი ფურცლები გექნებაო ბევრი, კალამიცო დაამატა... დაბნეული ვუწვდი ფურცლებს, მერე კალამს.. ვერ გიცანით... როგორ? უკვირს... არ ვიცი–ვიკვირვებ და იმ წამში, როგორც კი ექსპრომტად წამიკითხა ლექსი.. ჩაღამებული თვალები ერთიანად უბრწყინავდა და კითხულობდა გატაცებით... ემოციით სავსე... მე უკვე მის პასუხამდე ვიცოდი, რომ ეს ბედისწერით განწირული ნიჭიერი კაცი პოლმირა იყო... მთელი სამყაროს დარდი რომ დაჰქონდა.. და წერდა... მონაცრისფრო, გახუნებული პიჯაკი, აბგა, სტატუსი–სოციალურად დაუცველი, სათნოების სახლის მუდმივი სტუმარი.., ხშირად მიხდებოდა თანამგზავრობა სამარშრუტო ტაქსით.. და ყოველი დამგზავრება მიმძიმებდა გულს, ჟურნალ-გაზეთებჩაბღუჯული უკანა რიგში ჯდებოდა ჯიუტად, ყველას ეხმაურებოდა და ხალხით დატვირთული მანქანიდან საავადმყოფოსთან (სადაც ერთ ოთახში შეფარებული ცხოვრობდა) რომ ჩამოსულიყო მისთვის გზა უნდა დაეთმოთ... გზად მიმავალს ზოგიერთის დაცინვა მიჰყვებოდა... ვერ ვიცავდი... რადგან მათ, არ იცოდნენ. ვის დასცინოდნენ... ვდუმდით ისინი, ვინც ვიცოდით... ვინ იყო, მხოლოდ ჩასვლის მერე ვამბობდი... თქვენ მას არ იცნობთ... მერე ვდუმდებოდი მაინც.. მერე აყვებოდა მას ერთი ადამიანის „ისტორიის“ სხვადასხვა ვერსია... სადაც უდაოდ სიმართლე ერთი იყო...განწირული. დღეს ყველამ ვინც გავიგეთ, რომ გარდაიცვალა–გული დაგვწყდა, გული გულწრფელად დაგვწყდა.. მაგრამ... რა შევძელით მის სიცოცხლეში... არაფერი... სულ არაფერი და ვინც რამე შესძლო.. არაფრად იქცა, რადგან ბედისწერამ ის დიდი ხნით ადრე გასწირა. და ეს „განწირულის თავდავიწყება“ ფურცლებით, ლექსებით, აზრებით დამთავრდა.. დასანანია.. და დასამახსოვრებელი... ხობს ენანება ვიცი..

***როზეტა შულაია.***

## სპორტი

# ხობელ მოჭადრაკეთა მორიგი წარმატებები



16 თებერვალს, ქ. ფოთში, ნანა ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო სკოლაში დასრულდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 2014 წლის ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში 8, 12 და 16 წლიანთა გოგონათა და ჭაბუკთა შორის. ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზეს განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის ჭადრაკის ჯგუფის მოსწავლეებმა (მწვრთნელ-მასწავლებელი ირაკლი გეთია).

8 წლიან ჭაბუკებში 8 ქულით I ადგილის მფლობელი გახდა თეიმურაზ კვიკვინია; III ადგილი- ქულით ნიკა ბუკიას ერგო. IV ადგილი და 4,5 ქულა მოიპოვა ირაკლი გვალიამ, Vდა VI ადგილები სანდრო ბუკიამ 4 ქულით და ნიკოლოზ სიგუამ 3 ქულით გაინაწილეს;

12 წლიან გოგონებში ანა კვიკვინიამ 4,5 ქულით II ადგილი მოიპოვა;

16 წლიან ჭაბუკებში სამი წლით უფროსებთან პაექრობაში 5,5 ქულით I ადგილზე გიორგი ლატარია და III ადგილზე ლუკა შამუგია გავიდა.

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გამარჯვებულები მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოვეს.

# დათა ხურცილავას სახელობის თასი გათამაშდა



12–16 თებერვალს ქ. ხობში დათა ხურცილავას სახელობის სტადიონზე ჩატარდა 2008 წლის აგვისტოს ომში ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის დათა ხურცილავას სახელობის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში. შეჯიბრება ტრადიციულია და ის მეექვსედ ტარდება.

შეჯიბრებაში რვა გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც კენჭისყრის შედეგად ორ ქვეჯგუფად გაერთიანდნენ. A ჯგუფში გაერთიანდნენ გურიფულის, ნოჯიხევის, დათას მეგობრებისაგან შემდგარი გუნდი „საძმო“ და „ჭალეს“ უბნის ფეხბურთელები. B ჯგუფში ასპარეზობდნენ „ჭყონდიდელის“ უბნის, ხობის ცენტრის გუნდები „მერცხალი“, „კოლხეთი“ და „ხობი 04“. ჯგუფური თამაშების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები, რომლებიც ასე დაწყვილდნენ. 1. გურიფული–“მერცხალი“, 2. „საძმო“–„ჭყონდიდელი“. პირველ ნახევარფინალურ წყვილში გურიფულსა და მერხალს შორის მატჩი ორმხრივი უპირატესობით მიმდინარეობდა, ანგარიში „მერცხალის“ ფეხბურთელებმა გახსნეს, თუმცა გურიფულელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, შემდეგ კი გამარჯვების გოლიც გაიტანეს და ფინალში გავიდნენ.

მეორე წყვილში „საძმოსა“ და „ჭყონდიდელს“ შორის ბრძოლა დაძაბულად წარიმართა, მატჩი ფრედ 0:0 დამთავრდა. პენალტების სერიაში 2:1 „საძმოს“ ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს და ფინალში გავიდნენ.

16 თებერვალს დათას დაბადების დღეს მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალი გაიმართა.

მესამე ადგილი ერგო „მერცხალის“ ფეხბურთელთა გუნდს, რომლებსაც მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი გადაეცათ.

ფინალში „გურიფულისა“ და „საძმოს“ გუნდების შეხვედრა დაძაბულად წარიმართა. ანგარიში „საძმოს“ ფეხბურთელებმა გახსნეს (ვლადიმერ გერგაია), „გურიფულელებმა (ომარ ჩარტია) შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, თუმცა ირაკლი ჯეჯეიამ „საძმოს“ გუნდი ისევ დააწინაურა და მატჩი 2:1 „საძმოს“ გუნდის გამარჯვებით დამთავრდა.

ამრიგად, მეორე ადგილი გურიფულის ფეხბურთელთა გუნდმა დაიკავა, რომელთაც მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი გადაეცათ.

დათა ხურცილავას სახელობის თასის ღირსეული გამარჯვებული ხობის „საძმოს“ ფეხბურთელთა გუნდი გახდა. აღსანიშნავია, რომ „საძმოს“ ფეხბურთელთა გუნდმა ყველა მატჩის მოგება შეძლეს. მათ დათას სახელობის თასი და სიგელი, ასევე დათას ოჯახის მიერ დაწესებული გარდამავალი თასი გადაეცათ.



ტურნირზე საუკეთესო მოთამაშეებისათვის სხვადასხვა ნომინაციებში დაწესებული იყო პრიზები:

საუკეთესო მეკარე გახდა–ირაკლი საბეკია („საძმო“), საუკეთესო მცველად აღიარეს ვლადიმერ ჯამბურია („საძმო“), საუკეთესო ნახევარმცველი გახდა ირაკლი სახურია (გურიფული), საუკეთესო თავდამსხმელი–დიმა თოდუა (ჭყონდიდელი), საუკეთესო ბომბარდირი 7 გატანილი გოლით გახდა გიგა ქარაია („მერცხალი“), საუკეთესო ფეხბურთელად ერთხმად აღიარეს ზურაბ ლატარია (გურიფული).

გამარჯვებული გუნდები და საუკეთესო მოთამაშეები სხვადასხვა ნომინაციებში დააჯილდოვეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა **გოჩა ქაჯაიამ**, გამგებლის მოადგილეებმა **ედიშერ ჯობავამ** და **მახარე ჩოკორაიამ**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **კახა ბუკიამ.** შეჯიბრება ორგანიზებული და დაფინანსებული იყო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის (უფროსი **ფერიდე გოგია)** სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების (უფროსი **ნანა ბუკია**) მიერ.

დაჯილდოების შემდეგ ტურნირის ორაგანიზატორებმა, მონაწილეებმა და გულშემატკივრებმა ყვავილებით და ტკბილი სიტყვებით შეამკეს დათას საფლავი და კიდევ ერთხელ მიულოცეს დაბადების დღე.

**ლევან ლემონჯავა**

# ხობელ მძლეოსანთა წარმატებები საქართველოს ჩემპიონატზე




8-9 თებერვალს ქ. თბილისში მძლეოსნობის სასახლეში, საქართველოს მძლეოსანთა ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა „საქართველოს ზამთრის ღია ეროვნული ჩემპიონატი" მძლეოსნობაში. ტურნირში მონაწილეობდა საქართველოს ყველა რეგიონის სპორტსმენი. საკუთარი შესაძლებლობები 250-მა მონაწილე მძლეოსანმა სხვადასხვა სახეობაში წარმოადგინა. ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზა ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის მძლეოსანთა ნაკრებმა გუნდმა. გუნდის მწვრთნელმა ინდირა გრიგოლიანცმა საუკეთესო შედეგების მიღწევისთვის მეორე ჯგუფის გუნდებს შორის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული და I ადგილი მოიპოვა. ხობელმა ჯიმშერ ბუკიამ ასაკობრივ ჯგუფში 800 მეტრ გარბენში მოიპოვა I ადგილი (შედეგი 2.03 წთ);

გრიგოლ ახალაიამ ასაკობრივ ჯგუფში: 200 მეტრ გარბენში მოიპოვა I ადგილი (შედეგი 24 წმ); ამანათრბენში 4X200 მ გარბენში II ადგილი დაიკავეს ჯიმშერ ბუკიამ და გრიგოლ ახალაიამ.

წარმატებით იასპარეზა ბირთვის კვრაში გიორგი კორტავამ და 200 მეტრ გარბენში მეგი ლატარიამ.

ჩემპიონატზე ხობელ მძლეოსანთა ნაკრებმა გუნდმა 76 ქულით მეორე ჯგუფის გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავა.

გამარჯვებულები სიგელებით, დიპლომებითა და თასით დაჯილდოვდნენ.

# მხიარული ჯამბაზები



დილით, ბაღში მისულთ მე და ირაკლი ლამაზი სანახაობის მომსწრენი გავხდით. კარი ჯამბაზმა გაგვიღო, სიხარულისგან ირაკლიმ ერთი შეჰყვირა, მერე ჯამბაზს კარგად დააკვირდა და იცნო, დედიკო, ეს ხომ ჩვენი ქეთინოაო? გაკვირვებულმა ვიკითხე რა ხდება მეთქი, ამ დროს თავისი სამუშაო ოთახიდან ქალბატონი ნარგიზა გამოვიდა, რომელმაც უფრო დაწვრილებით ამიხსნა თუ რა სანახაობისთვის ემზადებოდა ბაღი. ბაღის აღმზრდელებმა გადაწყვიტეს პატარებისთვის დღესასწაული მოულოდნელად მოეწყოთ. დარბაზში შაპიტო გაეშალათ. გალიაში სახელდახელოდ მუყაოს ქაღალდებისაგან ამოჭრილი ცხოველები ჩაესვათ, რომელთაც თავიანთი მომთვინიერებელი გვერდს უმშვენებდა. იქვე იყვნენ აკრობატები, საზეიმო ფორმებში ჩაცმული ბაღის თანამშრომლები. დარბაზში ბავშვები აღმზრდელებმა რიგრიგობით შემოიყვანეს. გაისმა მუსიკის ხმა და ზეიმიც დაიწყო. ზეიმი ქეთათომ, მაკაკომ და ლალიკომ გახსნეს.



პატარები აღტაცებით შეჰყურებდნენ ლამაზ ფორმებში გამოწყობილ ჯამბაზებს. ზოგი ცნობდა კიდეც თავის მასწავლებელს, ოვაციებს და სიხარულს ვერ მალავდნენ. ეს ხომ ლალი მასწავლებელია, მაკაკოს დანახვაზე პატარებმა ერთხმად შესძახეს, მაყვალა მაყვალაო. ქეთათოს გამოცნობა არ გაძნელებიათ, ის ხან თოვლის ბაბუაა, ხან კეთილი პაპა და ვინ იცის რა როლის მორგება არ უწევს მას, რათა ბავშვებს ღიმილი და სიამოვნება მოჰგვაროს. იყო შეჯიბრი ცეკვასა და სიმღერაში, ბავშვებმა ლექსები წაუკითხეს ჯამბაზებს, მათთან ერთად საცირკო ილეთები შეასრულეს. ბევრი იცეკვეს და სასიამოვნოდაც გაერთნენ. ვფიქრობ, ასეთი სანახაობების მოწყობა მაშინ, როცა ჩვენი ბავშვები მოკლებულნი არიან იმ სიამოვნებას, რასაც ცირკი და თუნდაც სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები ქვია, ასეთი ზეიმების მოწყობა ბაღებში მისასალმებელია. მე, როგორც ერთ-ერთი რიგითი მშობელი, მადლობას ვუხდი ბაღის თითოეულ თანამშრომელს ამ დღისათვის, რამეთუ ეს დღე დიდხანს ემახსოვრებათ ჩვენს პატარებს.



**ნინო გერგაია**

# 112— გისმენთ!

გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, 2012 წლის 11 თებერვალს შეიქმნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი–„112“–24 საათიანი გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი. ცენტრი გადაუდებელი დახმარების შესახებ სატელეფონო შეტყობინებებს იღებს მთელი საქართველოდან ერთიანი სატელეფონო ნომრის 1-1-2 საშუალებით. 1-1-2–ის, როგორც გადაუდებელი დახმარების გამოძახების ერთიანი სატელეფონო ნომრის ამოქმედებამდე, საქართველოში არსებობდა გადაუდებელი დახმარების სამი დამოუკიდებელი ნომერი: სახანძრო–სამაშველო–111; საპატრულო პოლიცია–122; სასწრაფო–სამედიცინო დახმარება–113. „112“–ის მართვის ცენტრის ამოქმედებით საგანგებო სიტუაციებზე ოპერატიულობის მაღალი ხარისხით ერთი ნომერით უკავშირდებით ცენტრს. აქვს ერთიანი ელექტრონული სისტემა, ინფორმაციის შენახვის და ანალიზის შესაძლებლობა, აღსანიშნავია ასევე, რომ ნომერი 112 ევროპაშიც საგანგებო სიტუაციების მართვის ცნობად ნომერს წარმოადგენს. „112“-ის მიზანია უფლებამოსილ სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობით მოსახლეობისათვის მაღალი დონის და მარტივად ხელმისაწვდომი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.